# საკმარი ბაჯები

№14 (747)
ოთხშაბათი
17 აპრილი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.


## ელჩებო, ფრთხილად! „ჯორჯიაგეიტი“ არ დაგემართოთ!

როდესაც კატამ თაგვების მასიურ გაჩანაგებას მიჰყო ხელი, თაგვებმა გადაწყვიტეს, მისთვის ეჟვანი შეებათ, ველარ მოგვეპარება ჩუმადო. მოხუცმა თაგვმა იკითხა: კი, მაგრამ კატას იმ ეჟვანს ვინ შეაბამსო? — ასეა ჩვენი საქმეც, ყველას ხელი უთრთის კრებსითი კატისთვის ეჟვანის შებმაზე, თუმცა, ნელ-ნელა ტემპერატურა მატულობს.

იმავე მდინარაძემ თქვა: „როგორც იქნა, გაბედა ამ ქვეყანამ, რომ ქვეშევრდომივით არ ლაპარაკობს. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ თანაბარსწორად ველაპარაკოთ ჩვენს პარტნიორებს; რომ ვიდგეთ ორ ფეხზე მყარად და თავი არავის წავაქცევინოთ არანაირი მიმართულებიდან“.

## ელისაშვილი – ვირთხათა შორის უვირთხესი!

## ელიზბარ ჯაველიძე: რომ ყვირიან ხელისუფლება უნდა დავამხოთო – რატომ არ იჭერთ?

## გიგლა ბარამიძე: გორდიას კვანძი გამჭირვალობის კანონმა უნდა გადაჭრას

## პავლე კახიძე: მივიღოთ ახალი, მაგრამ არ დავივიწყოთ ძველი

## ზურაბ ქადაგიძე: გამჭვირვალობა არის ერთ-ერთი მთავარი დასავლური ფასეულობა და ამას ვერავინ შეეწინააღმდეგება

## „არა, სხვისი მისაბაძი რა მჭირს, – თვარა, – კი!...“

ბოროტება ცივილიზაციისა და დემოკრატიის სახელით

## ქართველი მიურატების ამბავი წიგნად

## კანონი ალკოჰოლ და ნარკოდამოკიდებულ პირებს გარიგებების დადებას უზღუდავს

## კანონი ტანით თუ არ იგრძენი, რაა მამული...

## თეთრი სახლი ახლო აღმოსავლეთში ესკალაციის შეჩერების მომხრეა

# ელისაშვილი - ვირთხათა შორის უვირთხესი!

მოგეხსენებათ, ფაუნის დიდი მოყვარე გახლავართ. შესაბამისად, მეტ-ნაკლებად ყველა ფრინველ-ცხოველისა და ქვეწარმავლის ბუნებას ვიცნობ, მაგრამ ადამიანში ჩასახლებული ფაუნის წარმომადგენლების სულის მოძრაობისა ვერაფერი გავიგე!

კაცისებრ არსებას, რომელსაც უაზრო ლაყბობის გამო თავგალაყებულ „თრიალეთის კოდალად“ ვიცნობდი, პიროვნებად არც ვცნობდი მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში მართლმადიდებლობის დაცვის გამო, 2010 წლის 7 მაისს საკაშვილის სისხლისმსმელ გიენებს ბიჭები დააჭერინეს.

დიახ, საბოლოოდ დაასამარეს ისედაც სულისმღაფავი ქართული ჟურნალისტიკა 7 მაისს, ძალად გაჟურნალისტებულმა ნინო ჯანგირაშვილმა, დავით აქუბარდიამ და ალექსანდრე ელისაშვილმა, რვა უდანაშაულო ადამიანი დააჭერინეს საკაშვილის ჯალათებს (ტაძრის მგალობელი ზვიად ბლიაძე ტელევიზიის ეზოშივე დააკავეს, რომლის მამა ინციდენტიდან მეორე დღეს ინსულტით გარდაიცვალა და მიუხედავად იმისა, რომ „პატიმრის შესახებ კოდექსში“ ეწერა, გამოსათხოვარ პანაშვიდზე პატიმრის მიყვანა შესაძლებელიაო, მამა საპატიმროში გამოაგლოვეს...)!

პირდაპირი ეთერში ვხედავდით, რა მოხდა სტუდიაში და გვახსოვს, მაგრამ ელისაშვილს, ეტყობა, ჰგონია, ყველა ჩვენგანი მასავით გაგლეჯილი მთვრალი უყურებდა ტელეეკრანს და ის რომ დარბოდა სახეარეული „გვირტყამენ, ამათიო“, ჩვენ სახლში დავრბოდით დუჟმორეულები და ბანს ვაძლევდით...

ეს მედროვე სანათესაო, ხანი რომ გამოხდა და ხელისუფლებაში „ოცნება“ მოვიდა, ერთმანეთს ასწრებდნენ ამ რვა კაცის გამართლებას — იქით აქუბარდია ამტკიცებდა, ჩემთვის ხელი არავის დაურტყამსო, აქეთ ჯანგირაშვილი წიკვნებდა, ჩვენ არავის სახე არ გვახსოვს, ჩხუბიც არ ყოფილაო, ხოლო ეს კოდალა მართალი კაცის იერმიღებული ყინჩად ამბობდა, დიდი ხნის განმავლობაში ტყუილად იყვნენ დაკავებული ეს ბიჭები, უბრალოდ, სააკაშვილის ხელისუფლებამ მოაწყო ისე, რომ ორი კურდღელი ერთდროულად დაეჭირა —„კავკასიას“ ჩრდილი მისდგომოდა და ვისი „ზუბიც“ ჰქონდათ, ის მოეშორებინათ, თორემ ჩვენ დაჟინებით ვითხოვდით მათ გამოშვებასო — ეს უგვანო ყურუმსაღი, ესა, ამდენი ტყუილებისგან თვითონ დაპატარავდა და ცხვირი გაეზარდა, მაგრამ რომ არ გაჩერდა?!

დიახ, ეს ტიკინა ისეთი ერთი უგვანო ვინმეა, რომელსაც იმისიც კი არ შერცხვა, რომ სხვა ურცხვებისთვის არ მიებაძა და უკრაინაში ვითომ საომრად არ წასულიყო — საპოზიოროდ აისხა თოფ-იარაღი და უკრაინაში, ვითომ ბრძოლის ველიდან, ფეისბუქზე პოსტების გამოცხობა შეუთავსა ბრძოლას, რომ არავინ დაინტერესებულა, სად მიდიოდა, თვითონ გადაგვჭამა თავი, უკრაინაში ვარ, არ შეშიძლია სხვისი დარდისა და განსაცდელისთვის თვალის არიდება, მოხალისე მებრძოლთა უცხოურ ლეგიონს შევუერთდი, საერთო მტერი უნდა დავამარცხოო.

ჩვენი „რემბო“, „როკი“, „ბეტმენი“, „სუპერმენი“ და თვით „ხაროში“ კოდალა...

მცირე ხანში, ეტყობა, მის გაგებაში მტერი რომ მნიშვნელოვნად დაასუსტა (თუ სუსუნატი შეეყარა), ყასიდად მეომრობა მოსწყინდა (ან უთხრეს, დავაი რა, აახვიე, შენი მუქთამწმელი კარგიცო), ქუდი შემოატრიალა და ისევ დაგვიბრუნდა. როგორც კი დავინახავ, რომ ისევ საჭირო ვარ გმირულ უკრაინაში მეომრად, იმ წამსვე დავბრუნდები მეტი გამოცდილებითა და მეტი შემართებითო, — ესეც ფბ-ზე დაწერა ჩვენმა ჭინკა მებრძოლმა.

ამ ბოლო დროს რატომ გადარია ეს ყველგან საეჭვოდ მოხვედრილი სუბიექტი, საჯდომისა და ენის უკუღმა ქნევაში ვინ უხდის?

მეკურტუმე კინტოს გარდა, ვინ იკადრებდა იმას, რაც ამ არარაობა კაცისებრმა იკადრა ორიოდე დღის წინათ! — ეს ჰამქრის კინტოს გაცვეთილი ჭვინტი, ესა!

გაცვეთილი რომ არის, სწორედ იმიტომ მოხვდა ჯერ საკრებულოში და შემდეგ პარლამენტში, თორემ მისი ადგილი სადაც არის, თვითონ უკეთ იცის — „ჭრელი აბანოების“ უკანა კართან უნდა იყოს ატუზული...

აკი ვთქვი, ფაუნის წარმომადგენლების ქცევა-ხასიათის მეტ-ნაკლებად მცოდნე ვარ-მეთქი — ვირთხა აბსოლუტურად მცდარად არის მიჩნეული აგრესიულ მტაცებელ მღრღნელად. ვირთხა, გავლენის სფეროს ან ნადავლის დაუფლების გამო, როგორც სხვა ინდივიდები, საკუთარ თვისტომელს ეჩხუბება, მაგრამ არასდროს ესხმის თავს სხვა ინდივიდს, მხოლოდ ერთი შემთხვევაა გამონაკლისი, როდესაც ძალიან ეშინია და შიში სძლევს სიფრთხილეს.

ალექსანდრე ელისაშვილი მამუკა მდინარაძეს იმ ვირთხასავით მიახტა, კუთხეში რომ მიიმწყვდევენ, გასაქცევს აღარ დაუტოვებენ და შიშისგან გონებაარეული, ანგარიშმიუცემლად იერიშზე თვითონ გადადის.

ადამიანური შეფასებით, რანაირადაც ეს კოდალასებრი ვირთხა მამუკა მდინრაძეს დაესხა თავს, არც კაცურში წერია და არც ბოზურში — კაცი ლაპარაკობს, მანდილოსნებს მიმართავს და სხვა მხარეს იყურება, დააცადე, შე ვირთხა, მოახედე შენკენ და მერე გაიქაჩე, შე კუნთდალეულო მკვეხარა მამალო!

ეს ბაქია კურდღელი! ქუჩაში გამოვარდნილმა, აქოშინებულმა ჯერ ერთი ბოთლი ცივი წყალი გადაივლო უჰიპოფიზო გავარვარებულ თავზე, შემდეგ კი მოაღო პირი, გაილახა ხოშიანად მდინარაძე, მოხვდა რუსულ სიფათშიო.

მეზობლად სვანი ბიჭი ცხოვრობდა მდგმურად, კვირა არ გავიდოდა დალურჯებული არ ჰქონოდა თვალი. ბებიაჩემი შეწუხდა, რა გჭირს, შვილო, ხვიჩა, სულ დალურჯებული რატომ გაქვს თვალიო? ბებო, გუშინაც ვცემეთ რუსთაველზე ტიპებიო. ბებიაჩემმა შეიცხადა: ბეჩა, ისე რანაირად სცემ, რომ სულ შენ ხარ ნაცემიო?

ასე იყო გუშინწინ ამ კოდალას ამბავიც, მდინარაძე გაილახაო და თვითონ იყო ნათეთქვი ჩირგვებში კუდით ნათრევი წუკლაკი მელასავით....

ფუ, შეგირცხვა ცხვირ-პირი!

კოდალა კი არა, ვირთხათა შორის უვირთხესი ყოფილა ეს ჭინკა!

**ზურა ოშხერელი**

# ელჩებო, ფრთხილად! „ჯორჯიაგეიტი“ არ დაგემართოთ!

**„თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა ამოკვუეთა იყო შენი სამართალი და მერმედა თავისა, კადნიერად კადრებისთვის. აწ არს სიტყუა! ესე წიგნი მიართვი რუქნადინს და არქვი: ჩუენ მზად ვართ წყობად და წინამოგებებად. სამართალი ღმრთისა იყავნ“.**

ორ რუსეთს, ბოროტს — პუტინისას და კეთილს — ვირტუალურს, შეჩვეული ვიყავით, ახლა ორი აშშ გამოჩნდება ბაიდენის და ტრამპის და ორ-ორად ევროპის ქვეყნები მოჰყვებიან ორი ტაივანის დართვით და კუკუ-დამალობანა ახალი წრიდან დაიწყება?

აი, ასე ვხედავ მას შემდეგ, რაც მმართველი პარტიის კონკრეტულმა წარმომადგენელმა სიტყვა დაასველა „ზოგიერთი ქვეყნის კეთილადგანწყობილ ელჩებზე“ და დასძინა „თუმცა, მათი კეთილგანწყობის იმედზე ვერ ვიქნებითო.“

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, რობინ დანიგანს შეხვდა. ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავებასა და ქვეყნებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერების მნიშვნელობას. ირაკლი ღარიბაშვილმა რობინ დანიგანს მადლობა გადაუხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი აშშ-ის მხარდაჭერისთვის და აგრეთვე, ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის არაერთი მიმართულებით.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს საქართველოსა და რეგიონში მიმდინარე პროცესებზე და უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებზე. ხაზი გაესვა მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობას. პარტიის თავმჯდომარემ განსაკუთრებულად აღნიშნა, რომ საქართველოს ევროატლანტიკური კურსი კონსტიტუციით არის განსაზღვრული და ეს კურსი შეუქცევადია.

ერთმანეთში რა საკითხებს ჩაუღრმავდნენ და რა უთხრა „მკვახე მთქმელად“ და „არადიპლომატიურად მოსაუბრე“ ღარიბაშვილმა დანიგანს, არ ვიცით, მაგრამ ხალხს მხოლოდ ის უნდა, რომ ბატონ ღარიბაშვილს ხალხის სათქმელი ეთქვა!

და კიდევ, ასეთი სამარცხვინო ფაქტი, რომ ქვეყნის კონსტიტუციაში ევროატლანტიკური კურსი ან სხვა რამენაირი კურსი ეწეროს, რომელ ქვეყანას აქვს? — კონსტიტუციაა, თუ საბჭოთა პიონერის ფიცი...

საქართველოს გონიერ ნაწილს კურსი გვაქვს აღებული სიმართლისკენ და ხალხის მოწოდებაა, რომ ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი, ხოლო რაშიც ვერ ერკვევა იგივე ხალხი, გავარკვიოთ.

დიპლომატიური ეტიკეტი მოითხოვს კონკრეტული დებულებების დაცვა-გათვალისწინებას, შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც ასე იქნებოდა, მაგრამ საქვეყნო საქმისთვის საკეთილდღეოდ რომ გააჟღერებდა მკაფიო ფრაზებს ბატონი ღარიბაშვილი, საინტერესოა, ქალბატონი დანიგანიც მკაფიოდ უპასუხებდა, თუ როგორც მისი წინამორბედებისგან გვსმენია, „ბლია-ბლიას“ დაიწყებდა? ამ კითხვის დასმას საფუძველი აქვს — ქალბატონი ელჩის განმარტებას გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, დამაკმაყოფილებელი პასუხი არ ჰქვია!

ზოგადად, საქართველოში აშშ-ის არცერთი ელჩის მხრიდან არ უგრძვნია ქართველ ხალხს არანაირი მხარდაჭერა, მხოლოდ „ნაცსექტის მეგობარ“ აშშ-ის ელჩებს ვიცნობდით და ვიცნობთ. აგერ, ახლაც, აშშ-ის ყოფილმა ელჩმა საქართველოში, „ნაცსექტის“ პირადმა ელჩმა, იან კელიმ „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ კანონპროექტის ხელახლა დაინიცირებაზე სულ თითი გვიქნია მუქარის ტონში, რას ჰქვია, ჩემს მეგობრებს „შავი ფულის“ მიღების წყაროს გადაკეტვას უპირებთო.

სანამ ქალბატონი დანიგანი საქართველოში ჩამოვიდოდა, ავსტრიიდან მითხრეს, ეგ ქალი ჩვენთან იყო და ვიცით, რასაც წარმოადგენს, აშშ-ის ისეთი ელჩი დაგიჯდებათ, კელი დეგნანი ანგელოზად მოგეჩვენებათო. ჯერჯერობით, სავარაუდოდ, აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნების დასრულებამდე, არც გამოჰყოფს ქალბატონი დანიგანი კლანჭს, მაგრამ წინამორბედივით რომ რაღაც 6 მლრდ უკვე დაგვაყვედრა, ნათელია, რომ მთელი აშშ-ის წარმომადგენლობა, ერთ ჰანგზე აწყობილი ბოროტი და ანგარებიანი „სალამურია“ — როგორც ყველაფრისგან არ გამოვა სალამური, ისე აშშ-ისგან არ გამოვა საქართველოს მეგობარი!

„აშშ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარდამჭერია. აშშ-მა საქართველოს დახმარების სახით 6 მლრდ დოლარი გამოუყო. ჩვენ ავაშენეთ საავადმყოფოები, სკოლები. ექიმებსა და მასწავლებლებს ტრენინგები ჩავუტარეთ. ასევე, დავეხმარეთ საქართველოს ეკონომიკის გაძლერებას, კულტურული ძეგლების შენარჩუნებას. აშშ-ს სურს, რომ საქართველო ძლიერი, წარმატებული და დასავლური სამყაროს წევრი იყოს“, — ჩამოარაკრაკა დაზუთხული ტექსტი ამანაც.

ამათი დატრენინგებული ექიმები და მასწავლებლები არ გაიშვა!

სნეულები, თუ ოდნავ მაინც ხელს უწყობთ ფინანსური მდგომარეობა, თურქეთში მიდიან სამკურნალოდ; მათი დატრენინგებული მასწავლებლების მოსწავლეები კი კერძოდ ემზადებიან. ააშენეს კი არა, დააქციეს ყველაფერი და ამ დანგრევაში ფული გადაუხადეს დამანგრევლებს — ჩვენ რას გვაყვედრიან, ნეტავ? გონება დაუნგრიეს მოზარდ თაობებს და მათი მცირე, მაგრამ მაინც ნაწილი, დაპროგრამებულ უსქესო მასად აქციეს. ეს არის ამ მიმართულებით მათი დახმარება!..

რაშია აშშ საქართველოს მხარდამჭერი, არ ვიცი, მე მხოლოდ იმას ვხედავ, რომ, რაც აშშ საქართველოთი დაინტერესდა, ყველა მიმართულებით უკან-უკან წავიდა საქართველოს საქმე, განათლების მოსპობიდან დაიწყეს და მენტალურად გადააგვარეს მომავალი თაობები — გადათვალეთ უკან წლები და დარწმუნდებით.

თუთიყუშივით რომ იმეორებენ რაღაც 6 მლრდ დოლარ დახმარებას, რომელიც თითქოს საქართველოს დაუდეს ძღვენად, ერთხელ უკვე მიიღეს პასუხი, კელი დეგნანს მიახალეს, რომ საკუთარ ნჯო-ებში მოეძია იმ მილიარდები კვალი. ვითომ მაშინ მან არ იცოდა და ახლა ამან არ იცის, რომ ის ფული საქართველოს არ მოხმარებია, ნახევარზე მეტი აშშ-ის ქართულ შინაურობაში აშშ-ის ინტერესებისვე შესაბამისი მიმართულებით „გაიბნა“.

რაც შეეხება სტრატეგიულ პარტნიორობას — რაში გამოიხატება აშშ-ისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა, მხოლოდ იმაში, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს?

სხვა მხრივ — უვიზო მიმოსვლას ვინ ჩივის, აშშ-ის ვიზებზე განაცხადების დაკმაყოფილების მაჩვენებელია გამაოგნებელი. ყველა ჩვენი მეზობელი ქვეყნის მოქალაქეების ვიზებზე განაცხადის დაკმაყოფილება 3-ჯერ მეტია, ვიდრე საქართველოს მოქალაქეებისა, თვით იმ რუსეთის მოქალაქეებისაც, დასავლეთს ტირანულ სახელმწიფოდ რომ ჰყავს გამოცხადებული;

სტრატეგიულ პარტნიორ აშშ-სთან არც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გვაქვს;

აშშ-სთან არ გვაქვს პირდაპირი ფრენა (ცხადია, გადაჯდომით) და ა. შ. მოკლედ რომ ვთქვათ, რაც სტრატეგიულ პარტნიორობას უპირველესად ასაბუთებს და ამყარებს, ასეთი არაფერი გვაქვს აშშ-სთან, არ უნდა და იმიტომ! ჩინეთთან სტრატეგიულ პარტნიორობას რომ მოვაწერეთ ხელი, მყისიერად გადაწყდა ყველაფერი, თუნდაც ეს საკითხები და აშშ-სთან მიმართებაში როდემდე ვიქნებით სირაქლემის პოზაში, არც ვიცით... როგორ არ ვიცით, ვიცით, მაგრამ თავს ვიშტერებთ... რატომ!

საქართველოს ე. წ. პრეზიდენტი ელჩებს რომ შეხვდა და „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტს“ სულ ქოქოლა აყარეს, „რუსული კანონიაო“, მათ შორის იყო საფრანგეთის ელჩიც, იმ საფრანგეთისა, რომლის ქვედა პალატამ უკვე დაამტკიცა საქართველოზე უფრო მკაცრი იგივე შინაარსის კანონი, ევროკომისიას გადასცა უკვე და მაისში ელოდებიან ეროვნულ დონეზე დამტკიცებას.

როდესაც ევროკავშირის ელჩი ჩვენს კანონპროექტს აპროტესტებდა, საფრანგეთში კანონი მიიღეს, რომელშიც წერია: „უნდა შეიქმნას ერთიანი რეესტრი, სადაც აღრიცხული იქნება ყველა უცხოური დაფინანსება. ამ ფონდებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ა. შ. ყოველი შემდეგი წლის ბოლოს უნდა წარადგინონ ანგარიში ეროვნულ ასამბლეაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაისჯებიან კანონით. ასევე, ანგარიში უნდა წარადგინოს სპეცკომისიამ, თუ რა პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა მოუტანა უცხოურმა ფულმა ქვეყანას. საფრანგეთი იტოვებს უფლებას, რომ გაყინოს ყველა უცხოური ფონდიდან შემოსული თანხა, თუ მას ეჭვი აქვს ამ ფონდების ვერაგი გამოყენების შესახებ.“

ევროკავშირის ელჩს, როგორც ჩანს, მორალის დეფიციტი აქვს, თორემ მას შემდეგ, რაც ევროკავშირში ცნობილი კორუფციული სკანდალები აგორდა, ტონის აწევას როგორ უნდა ბედავდეს!

ევროკავშირში ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კორუფციული სკანდალი პირდაპირ დაკავშირებულია ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენთან და მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ჯერ არ დასრულებულა, 7 მარტს ევროპის სახალხო პარტიამ კვლავ მისი კანდიდატურა წარადგინა საარჩევნოდ (6-9 ივნისს). როგორც ჩანს, ევროპარლამენტარებისთვის კორუფციულ სქემებში მონაწილეობა ღირსების შემლახველი ქმედება, კი არა ჩვეულებრივი მოვლენაა.

რასაც ვხედავთ, კი, ასე არის ნამდვილად! „კატარგეიტი“ (უოტერგეიტის ანალოგი, რამაც რიჩარდ ნიქსონი გადაიყოლა) ევროპარლამენტის ვიცე-თავმჯდომარე ევა კაილის სახელს დაერთო და დააკავეს „პატივცემული“. თაღლითურ სქემაში, მის გარდა, ჩართულები იყვნენ: მამამისი, ევროპარლამენტის ყოფილი დეპუტატი პიერ ანტონიო პანზერი და საერთაშორისო პროფკავშირების კონფედერაციის გენერალური მდივანი ლუკა ვისენტინი. კაილის ადვოკატის წერილობით განცხადებაში ნათქვამია, კატართან მიმართებაში კაილიმ გამოიყენა ევროკავშირის ოფიციალური პოლიტიკა, რომელიც შეთანხმებული იყო ევროპარლამენტის ხელმძღვანელ რობერტა მეცოლასთან და რომელიც ინიცირებული იყო ევროკავშირის დიპლომატიის ხელმძღვანელი ჯოზეფ ბორელის მიერ. როგორი ნაცნობი გვარებია... ესენი ხომ იგივენი არიან, რატომღაც თავზემდგომებად რომ დავისვით...

ან ის, კიდევ, აშშ-ში ყველაზე გავლენიანი დემოკრატი კანონმდებელი, სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელი ბობ მენენდესი, საკუთარ რეზიდენციაში ოქროს ზოდებს, უამრავ ნაღდ ფულს და ძვირადღირებულ მანქანას რომ მალავდა, გასამრჯელოს, რომელიც სამთავრობო ინფორმაციის მიწოდებასა და ეგვიპტის ინტერესების სასარგებლოდ აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თანამშრომლებზე ზეწოლაში აიღო.

კორუფციის კონტროლის რეიტინგში საქართველომ 73% მიიღო

4 ბ.



# ელჩებო, ფრთხილად! „ჯორჯიაგეიტი“ არ დაგემართოთ!

3 გვ.

და უკან მოიტოვა ევროკავშირისა და ნატო-ს 14 ქვეყანა. ისღა დამრჩენია, ვიკითხო: რას ამოგვიჩემეს და გადაკვეკიდნენ ეს „ქრთამისტები“, საქართველოს მავნებლობაში ვინღა უხდით?

მავანთ უკვირთ, თუ ამ შემთხვევაში საფრანგეთისა და, ზოგადად, სხვა ქვეყნებისთვის საკუთარი სუვერენული და საზოგადოებრივი ინტერესების უცხოური გავლენებისგან დაცვის უფლება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ვალდებულებაა, საქართველოსთვის რატომ არის იგივე „რუსული კანონი“?

იმიტომ, რომ თავადვე აღნიშნავენ, საქართველოს იგივე კანონი ბევრად შერბილებულიაო. რატომ არბილებ, გადმოიტანე სიტყვასიტყვით!

როდესაც დადასტურებულად იცი, რომ საქართველოში არსებული ქვეყნის წურბელა არასამთავრობო ორგანიზაციების ძირითადი დონორები ევროკავშირიდან და აშშ-იდან არიან, აღნიშნული კანონი უნდა შეარბილო თუ პირიქით, როგორიც არის, მისი კოპიო უნდა გადმოიტანო და წინ დაუდო, თქვენ გბაძავთო.

როდის დასრულდება ეს პატრონყმური დამოკიდებულება, გასკდა გული!

„ჩემი ვასალის ვასალი, იგივე ჩემი ვასალია,“ — სწორედ ასე ბრიტანულად არის ჩვენი საქმე. აშშ-ის ვასალად გადაქცეული ევროკავშირის ვასალია საქართველო და ვართ ასე, სანამ ბუტია და პრეტენზიულ „რუსთ მეფესთან“ არ გადაწყვეტენ, ვის ეკუთვნის ჩვენი თავი, ანუ საქართველო...

ყველაფერი ხელისგულზეა, აღარაფერია დაფარული. ვიღაცებმა ახლა ამოიღეს ხმა, თორემ ხალხმა დიდი ხანია, ალღოზე დართული ეჭვით იცოდა, ვინ არიან დონორებიც და ძღვენიჭამიებიც, ვინ ვის უკან დგას, ვინ რას აშავებს და ვინ რას/რამდენს ათეთრებს...

ირაკლი კობახიძე ვიღაც ხომ არ არის, რომ მისი სიტყვები არ ვირწმუნოთ, საქართველოს პრემიერია: „ჩვენ ამოვიღეთ ინფორმაცია შვიდი არასამთავრობო ორგანიზაციის თაობაზე. ესენი არიან ყველაზე რესურსულად ძლიერი, ასევე, ექსტრემიზმით გამორჩეული არასამთავრობო ორგანიზაციები, საიდანაც გაირკვა, რომ 2012 წლიდან, მათ, მაქსიმუმ 18% აქვთ დეკლარირებული იმ ფინანსებისა, რომელსაც ხარჯავენ.

კერძოდ, მთლიანი თანხა, რაც იყო ნაჩვენები, დეტალების გარეშე, იყო 85 400 000 ლარი. ეს არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მინიმუმ ამდენი ხარჯი აქვს გაწეული, თუმცა, ჩვენ არ გვაქვს არავითარი ინფორმაცია ამ თანხების მიზნობრიობისა და კონკრეტული წყაროების თაობაზე. აქედან ინფორმაცია გვაქვს მხოლოდ 18%-თან დაკავშირებით, ანუ 15 400 000 ლართან დაკავშირებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 85 მლნ-იდან მინიმუმ 70 მლნ მათ დაკარჯული აქვთ ყოველგვარი დეტალური ინფორმაციის წარმოდგენის გარეშე, სრულიად გაუმჭვირვალედ — არაფერს ვამბობ იმაზე, რომ თავისთავად, ეს ინფორმაცია არის საგადასახადო საიდუმლოება, ანუ მე არასამთავრობო ორგანიზაციებსაც კი ვერ ვაკონკრეტებ. შესაბამისად, საზოგადოებისთვის, საერთოდ ნული ინფორმაციაა ხელმისაწვდომი ამ ყველაფერთან დაკავშირებით. უშუალოდ სამთავრობო დაწესებულებებისთვის ინფორმაციის მხოლოდ 18% არის ხელმისაწვდომი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მათი ხარჯებიდან, დიდი ნაწილი საერთოდ არ არის ნაჩვენები ფინანსთა სამინისტროში. მაგალითად, აქ არ შედის სამივლინებო ხარჯები, ოფისის ქირის უდიდესი ნაწილი, ელექტრონული ზედნადების გარეშე განხორციელებული შესყიდვები (რაც საკმაოდ დიდი მოცულობაა). შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არა 82%, არამედ მათ მიერ დახარჯული თანხების 90% არის გაუმჭვირვალე. აბსოლუტურად ხელმიუწვდომელია ინფორმაცია, თუ ვინ და რისთვის დააფინანსა შესაბამისი ორგანიზაციები.

არის ერთ-ერთი ფინანსურად ყველაზე ძლიერი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც მხოლოდ 0.4% აქვს დეკლარირებული; არის რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩევა ექსტრემიზმით და მათ „ნული“ აქვთ ნაჩვენები.“

იქით მამუკა მდინარაძემ დასვა შეკითხვა: „რანაირად ხდება, რომ არ აინტერესებთ დონორ ორგანიზაციებს ის, რომ ექსტრემისტულ „დროა“-ს, რომელიც ასევე რუსეთიდანაც ფინანსდება, მაინც აფინანსებენ. რატომ ხდება ასე, ამის გამჭვირვალობასთან არ გვაქვს ინტერესი?“

ამის მერე რაღა უნდა თქვა!

ყველა ელჩი იმ ქვეყნის სახეა, რომელ ქვეყანასაც წარმოადგენს. როდესაც ვხედავთ, რა ხმაშეწყობილად მღერიან უცხო ქვეყნების ელჩები და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები ერთ ჰანგზე (შესაბამისად, მფარველობენ მათ), მათი დანაშაულის თანაზიარები არიან, მაგრამ...

**როდესაც კატამ თაგვების მასიურ გაჩანაგებას მიჰყო ხელი, თაგვებმა გადაწყვიტეს, მისთვის ეჟვანი შეებათ, ველარ მოგვეპარება ჩუმადო. მოხუცმა თაგვმა იკითხა: კი, მაგრამ კატას იმ ეჟვანს ვინ შეაბამსო? — ასეა ჩვენი საქმეც, ყველას ხელი უთრთის კრებსითი კატისთვის ეჟვანის შებმაზე, თუმცა, ნელ-ნელა ტემპერატურა მატულობს.**

**იმავე მდინარაძემ თქვა: „როგორც იქნა, გაბედა ამ ქვეყანამ, რომ ქვეშევრდომივით არ ლაპარაკობს. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ თანაბარსწორად ველაპარაკოთ ჩვენს პარტნიორებს; რომ ვიდგეთ ორ ფეხზე მყარად და თავი არავის წავაქცევინოთ არანაირი მიმართულებიდან“.**

ღმერთმა ქნას!

ზურა ოშხერელი

# „არა, სხვისი მისაბაძი რა მჭირს, – თვარა, – კი!...“

## ბოროტება ცივილიზაციისა და დემოკრატიის სახელით

**პირველი მკვლელობიდან დაიწყო და სამყაროს დასასრულამდე გაგრძელდება ადამიანის მიერ ადამიანის მოკვლა. ფაქტობრივად, სიკვდილში ახალი და გასაოცარი არაფერია, მხოლოდ ჭირისუფლისთვის არის დიდი დანაკლისი, თუმცა, სიკვდილიც არის და სიკვდილიც, — ასე საზღვრავს ადამიანის გონება. ერთია, როდესაც ადამიანი მხცოვანი გარდაიცვლება, მეორეა, როდესაც უბედური შემთხვევის გამო გარდაიცვლება და მესამეა როდესაც კლავენ. ადამიანთა მოდგმას, არცთუ იშვიათად, მოკვდინების თანმდევი მხეცობებიც ახლავს, რაც ყოველთვის არსებობდა, უბრალოდ, ტექნიკის მიღწევების თანმხლები პროცესია, რომ ახლა ადვილად ვრცელდება ინფორმაცია.**

### ევროპა, ევროპა!

ისტორიულად, კოლონიალიზმი ევროპის სახელმწიფოებთან არის დაკავშირებული და მთელი დანარჩენი მსოფლიო, აზიის რამდენიმე და აფრიკის ორი (ეთიოპია და ლიბერია) ქვეყნის გარდა, სხვადასხვა დროს ევროპის ქვეყნების კოლონია იყო.

თვით სიტყვა „კოლონიალიზმი“ რას ნიშნავს?

კოლონიალიზმი — ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ჩაგვრისა და იმპერიალისტური ქვეყნებისთვის მათი დამორჩილების პოლიტიკა.

მთავარი კოლონიური სახელმწიფოები იყვნენ: პორტუგალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, განსაკუთრებით კი დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი.



კოლონიებს ფლობდნენ აგრეთვე: ბელგია, გერმანია, იტალია, იაპონია და აშშ.

(ამჟამად, როგორც ითქმება, კოლონიალიზმი, როგორც სისტემა, აღარ არსებობს. ასე კი ითქმება და კოლონიალისტური სისტემაც თითქოს აღარ არსებობს, მაგრამ ეს ხომ სიცრუეა! სიტყვა კოლონიალისტი, სიტყვა „უცხოელმა მეგობარმა“ ჩაანაცვლა — სულ ეს არის! უბედურებაა, როდესაც სიტყვა „მეგობრის“ რაობა მბრძანებელის უფლებების მქონე ქვეყანასთან თუ ცალკეულ პირებთან გაიგივდა...).

რამდენი ქალის სიცოცხლე შეიწირა ინკვიზიციამ, ვინმემ დაითვალა? — ჯადოქრობის გამო კი არა, ქალები დაწვეს მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგ მათგანს სხეულზე ხალი ჰქონდა, ზოგს — ლამაზი ბაღის გაშენება და მოვლა უყვარდა; ზოგი წითურთმიანი იყო, ან სამკურნალო მცენარეებს იყენებდა; ჭა ჰქონდა და ჭის წყალს მოიხმარდა; იყო არასტანდარტული სიმაღლის; უყვარდა ცეკვა-სიმღერა და ა. შ. და, ამავდროულად, ბედნიერად, დამოუკიდებლად და ძლიერად გამოიყურებოდა.

წმინდა ინკვიზიციისა და სხვა ჯგუფებისთვის, მთელი ისტორიის განმავლობაში, თავისუფალი სულის მქონე ყოველი ქალი უნდა დაეწვათ, ან წყალში დაეხრჩოთ.

10 გვ.

# გორდიას კვანძი გამჭირვალობის კანონმა უნდა გადაჭრას

*გვესაუბრება პოლიტიკოსი, დიპლომატი, პროფესორი გიგლა ბარამიძე:*

**— ბატონო გიგლა, შოლცისა და კობახიძის მიერ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე გერმანიის კანცლერმა განაცხადა: „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ კანონი საქართველოს არ სჭირდებაო.**

— მივესალმები ჩვენი მთავრობის პოზიციას, ვისთვისაც ამოსავალი წერტილი, უპირველესად, ქართველი ერია. ოკეანისგაღმელმა „მეგობრებმა“ რაც უნდა თქვან, ჩვენ ქართველი ერის ინტერესების შესაბამისად ვიმოქმედებთ, — აცხადებს ხელისუფლება. გერმანიის კანცლერის სიტყვებმა ძალიან შემაშფოთა. ვფიქრობ, იგი და სხვა მედასავლეთეები კანონის შესახებ სათანადოდ ინფორმირებულნი არ არიან. მეამაყება, რომ ჩვენმა ახალგაზრდა პრემიერმა უკან არ დაიხია და აღნიშნა, რომ საქართველო ევროპის ნაწილია და ევროკავშირის წევრი აუცილებლად გახდება. მან ასევე აღნიშნა, იმედია, ჩვენს ქვეყანაში გატარებული რეფორმები ევროკავშირში აღიარებას ჰპოვებსო.

რაც შეეხება კანონს, კობახიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს სამართლებრივ პრინციპებს ეფუძნება. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნული კანონის მიღებას მხარს უჭერს. ჩვენ გარე და შიდა — მეხუთე კოლონის — თავდასხმები არ უნდა დავუშვათ. „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ კანონის ისევ უკან გაწვევა არამც და არამც არ უნდა მოხდეს. პირიქით, ის მოქალაქეებმა ხმალამოღებული უნდა დავიცვათ. ვის ეყრდნობიან მაღალი რანგის უცხოელები, როცა გვტუქსავენ, ეს ევროპის საბოტაჟიაო?! — თავიანთ მიერვე დაფინანსებულ „დამოუკიდებელ“ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაც დავალებებს აძლევენ. მერე ურცხვად აცხადებენ, სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებებს ვეყრდნობითო. არა, ბატონებო, თქვენ თქვენს რეზიდენტებს ეყრდნობით. ამაში უზარმაზარი ფულია გადახდილი.

ხაზგასმით ვამბობ, არავის ეგონოს, არასამთავრობო ორგანიზაციებს ვებრძვით. დემოკრატიული სახელმწიფოს ინსტიტუტებისთვის ენჯეოების არსებობა მნიშვნელოვანია. საქართველოში მსგავსი ენჯეოები ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ. მაგრამ ამ კანონის მიხედვით, ერთმანეთისგან ვმიჯნავთ იმ ენჯეოებს, რომლებიც ქართველ ხალხს, ქვეყანას ემსახურებიან და მათ, რომლებიც კლანად, ჩაკეტილ, გაუმჭირვალე ორგანიზაციებად იქცნენ და გაიძახიან, ჩვენ სამოქალაქო საზოგადოება ვართო. ეს სიცრუეა. სამოქალაქო საზოგადოების უპირველესი ვალდებულება სწორედ გამჭირვალობაა. მათ მოქალაქეებს უნდა უთხრან, საიდან აქვთ ეს მილიონები და რაში ხარჯავენ. შეეკითხვებზე პასუხს გაურბიან, რადგან ამ მილიონებს ცუდი საქმისთვის იყენებენ. მათ ეროვნულობის არაფერი სცხიათ, თუ დამფინანსებლები უბრძანებენ, დარტყმას აყენებენ მართლმადიდებლობას, ტრადიციებს, კულტურას და ა. შ. მეტიც, ისინი დარტყმას აყენებენ საქართველოში ყველაზე დიდ მეცენატს, ასევე, ქართულ პარტიულ იდეებს, ეროვნულ მთლიანობას, მოწადინებული არიან ლგბტ პროპაგანდის კეთებისთვის.

უცხოელი დონორები აქაურ აგრესიულ ჯგუფებს ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ აფინანსებენ. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ სტუდენტებს გრანტები ცოდნის გასაღრმავებლად მისცენ, ასწავლიან, როგორ გამოიყენონ მოლოტოვის კოქტეილები და როგორ შეცვივდნენ სახელმწიფო ინსტიტუტებში. მეორე საკითხია, რომ მათ მიერ დაფინანსებული არასამთავრობოები უზრუნველად ცხოვრობენ — იმდენი ფული აქვთ, 25 **ათასი ლარი ჯარიმის გადახდა მათთვის არაფერია.** **მეტსაც გადაიხდიან, რადგან მილიონები ერიცხებათ. აბა, რატომ აპროტესტებენ ამ კანონს ასე გაკაპასებულები? — მათთვის სიკვდილის ტოლფასია, ამ კანონიდან გამომდინარე, მოსახლეობამ დაინახოს, როგორ ტკბილად ცხოვრობენ ფუფუნებაში, როცა ხალხს ასე უჭირს და რისკენ მიმართავენ ამ მილიონებს.** აი, ეს არის მათთვისაც და მათი დამფინანსებლებისთვისაც მომაკვდინებელი. თანაც, კანონის ამოქმედების შემთხვევაში, საერთაშორისო ორგანიზაციები, დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები, ვეღარ წამოგვაყვედრებენ, მილიარდები დაგახარჯეთო. ეს თანხები ქართველ ხალხს კი არა, ენჯეოებს ხმარდება, რომელთა მეშვეობითაც ქვეყანაზე ზემოქმედებას ცდილობენ. ეს საქართველოს ინტერესებთან კავშირში არ არის.

„საერთო გაზეთს“ ძალიან ღირსეული რედაქტორი ჰყავდა — ვახტანგ ხარჩილავა და მიხარია, რომ მის გზას პირნათლად აგრძელებთ. ამიტომ თქვენი გაზეთის საშუალებით ვსვამ შეკითხვას: **ვისთან აქვთ კუდი ამ არასამთავრობოებს გადაჭდობილი?! — შემთხვევით, იმ პარტიასთან ხომ არა, ექსტრემისტულ ჯგუფად რომ იქცა. ნაცები მყავს მხედველობაში, რომელთაც სისხლიანი რეჟიმი შექმნეს;** საქართველოს სტრატეგიული ობიექტების 85% რუსებს მიჰყიდეს; ევროსტრუქტურებში ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლითაც საკუთარი სახელმწიფო და ჯარისკაცები ომის დაწყებაში დაადანაშაულეს. აი, ამ სექტის მიერ არის ეს ენჯეოები შექმნილი, რომლებიც ქართველ ხალხს უმალავენ, რაში ხარჯავენ მილიონებს.

300-მილიონიან აშშ-ში ხუთი მილიონი დოლარი რომ გაქრება და ადრესატი არ ჩანს, თუ ვინ რაში დახარჯა თანხა, ერთი აჟიოტაჟი ტყდება-ხოლმე და აქ ენჯეოებმა 70 მილიონი გააქრეს და თურმე, ამაზე ხმა არ უნდა ამოვიღოთ. განა შეურაცხმყოფელი არ არის, როცა პარლამენტის თავმჯდომარე საერთაშორისო დონორებს ეკითხება, რაში იხარჯება მათ მიერ გადმორიცხული მილიონები და შეკითხვა ორი წელია, პასუხგაუცემელია. ჩვენ ასეთი შეგნებით გავიზარდეთ: თავი — სახელმწიფოს, გული — სატრფოს, ღირსება — არავის. ღირსებას ვერავის შევალახვინებთ. „საერთო გაზეთის“ მეშვეობით მინდა, მკაფიოდ ვთქვა: საქართველოს არავის ვალი არა აქვს! მადლობა, თუ ვინმე გვეხმარება, მაგრამ დასავლეთს საქართველო გეოსტრატეგიული, პოლიტიკური თვალსაზრისით ათჯერ მეტად სჭირდება, ვიდრე ჩვენ ის. ჩვენ ე. წ. გლობალური მშვიდობის შენარჩუნებისთვის ყველაფერი გავაკეთეთ, ავღანეთში თითოეული ჩვენი დაღუპული ჯარისკაცის დაღვრილი სისხლი მილიარდებზე მეტად ფასობს.

დასავლური ცივილიზაციის გზაზე, უზარმაზარი მსხვერპლი გავიღეთ, 2008 წელს ტერიტორიები დავკარგეთ, ვაჟკაცი ბიჭები დაგვეღუპა და გვერდით არავინ დაგვდგომია. მარტო შევეჭიდეთ იმ ბირთვულ სახელმწიფოს, რომელსაც 40-მილიონიანი უკრაინა და დასავლეთის 52 ქვეყანა ებრძვის და ვერაფერი დააკლეს. ამის მერე ვის აქვს უფლება, ის ორიოდე კაპიკი დაგვამადლოს, რომელიც თურმე ქართულ წარმოებას, სტუდენტების ცოდნის გაღრმავებას, სოფლის მეურნეობის განვითარებას კი არ ხმარდება, არამედ ენჯეოებს, რომლებიც თანხებს, ხალხზე ზრუნვის ნაცვლად, ქვეყნის საზიანო დავალებების შესრულებისთვის იღებენ!

როგორ დავიჯეროთ იმ ევროპელების, ამერიკელი სენატორების მოძღვრების, რომლებიც წლებია, ჩაგვჩიჩინებენ, სააკაშვილი პოლიტპატიმარიაო. ჩვენი „მეგობრების“ მტკიცებით, თურმე სააკაშვილს აწამებენ, კეზერაშვილი — მედიამენეჯერია, ნაცბანდის წარმომადგენლები — პოლიტპატიმრები ყოფილან და ა. შ. ნუ იტყვით და სისხლიანი რეჟიმის ერთ-ერთი შემქმნელი ადეიშვილი გერმანიის ბუნდესტაგში რომ იყო წამოტრაკული, ეს ყოფილა ევროპული გზა. ვინც ამას ამბობს, ევროპასთან საერთო არაფერი აქვს. ევროპარლამენტარები თუ აშშ-ის სენატორები, ვინც ამას გვეუბნება, ნეოლიბერალური მენტალიტეტის აგრესორები, ფაშისტები არიან. ამას ევროპაზე კი არა, იმ ჩინოვნიკებზე ვამბობ, ვინც ამ ბაკქანალიაში იღებს მონაწილეობას.

სირცხვილი იმ ხელოვანებს, სპორტსმენებს, რომლებიც ქლესა-ქლესობით, „ევროპა“, „ევროპა“-ს ძახილით, ხან სცენიდან, ხან სტადიონიდან სისულელეებს ყრანტალებენ. ისინი ან უვიცები არიან, ან მავანმა ტვინი გადაუგლისა და რასაც ჩასძახებენ, იმას ამოიძახებენ, ან, უბრალოდ, იმ შავი ფულის გადანაწილებაში არიან ჩართულნი, რასაც ენჯეოების კასტას აძლევენ. გორდიას კვანძი აუცილებლად უნდა გადაიჭრას. მაკედონელმა ხმალი იშიშვლა და გორდიას კვანძი გადაჭრა. **ხელისუფლების მახვილი გამჭირვალობის კანონის მილებაა, ჩვენი მახვილი კი ამ კანონის დაცვაა.** თუ საჭირო იქნება, ეროვნული დროშებით, ევროკავშირის სიმბოლიკითაც, ქუჩაშიც გავალთ. თუ მათი მხრიდან ათასი კაცი გამოვა, ჩვენ ასი ათასი უნდა ვიყოთ. მერწმუნეთ, დასავლეთი თუ დაინახავს, რომ ხალხი ამ კანონს მხარს უჭერს, უკან დაიხევს. სხვა გამოსავალი არ არის. სექტანტს რაც უნდა ჭეშმარიტებაზე ელაპარაკო, აზრს ვერ შეაცვლევინებ. ვერც იმ ადამიანს, ვინც ამ კანონის გასაპროტესტებლად ფული აიღო, ან რაღაც ბენეფიტებს ელოდება. ამიტომ ძალა საზოგადოებამ უნდა აჩვენოს, რასაც ორგანიზება სჭირდება. ძალა ხალხშია. თუ ამ კანონის მიღებას საფრთხე დაემუქრა, მის დასაცავად ყველანი ქუჩაში უნდა გამოვიდეთ.

**— რა არჩევანის წინაშე დგას ქართველი ხალხი?**

— საკითხი ასე დგას: საქართველო ან დამოუკიდებლობას შეინარჩუნებს, ან მეხუთე კოლონის, უცხოეთიდან დაფინანსებული რეზიდენტების, აგენტურის მეშვეობით გადატრიალება მოხდება და ისეთ ხელისუფლებას დაგვისვამენ, რომელიც ყოველგვარ ანტიეროვნულ, ანტიქართულ ქმედებას ხელს მოაწერს. ამიტომ, არ უნდა დავთმოთ. უცხო ქვეყნის პირველი პირები, ყველა რომ გაერთიანდნენ, ჩვენ უკან არ უნდა დავიხოთ. სად აქვს შოლცს იმის დრო, რომ ქართული კანონი იკითხოს. ვიმეორებ, დასავლეთი თავის მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციებს, ან დაინტერესებულ პირთა იმ წრეს ეყრდნობა, რომელთაც საქართველოში ისეთი ხელისუფლების მოყვანა სურთ, რომელიც ქვეყანას ომში ჩართავს. ომში დიდი ფული კეთდება, საქართველო ან უკრაინა ვის ადარდებს. დაფინანსებული ენჯეოები ორ ცეცხლს შუა არიან. ერთი მხრივ, თავიანთ პატრონებს, დამგეშავებს სათანადო შედეგებს ვერ აწვდიან და მეორე მხრივ, სიკვდილივით ეშინიათ, ქართველმა ხალხმა არ გაიგოს, როგორ ცხოვრობენ ფუფუნებაში და რაში აბანდებენ გადმორიცხულ მილიონებს. მთავარი ესაა, თორემ ევროპული ფასეულობები სულ ფეხებზე ჰკიდიათ. ქართველი ერის სასიკეთოდ რომ ხარჯავდნენ ფულს, მაშინვე აყაყანდებოდნენ, თქვენზე ზრუნვაში ვხარჯავთ ამ მილიონებსო. უმდიდრესი ბიზნესმენიც კი არ მისცემს თავს უფლებას, ისეთ ფუფუნებაში იცხოვროს, როგორშიც ესენი ცხოვრობენ. ეს მათი ბოლო გაბრძოლება იქნება და ხელისუფლებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუთმოს.

ჩვენ უდიდესი სახალხო გამოსვლისთვის უნდა ვემზადოთ. იმდენი უნდა ვიყოთ, რომ მიწა ზანზარებდეს. ეს სალახანები მაშინვე სოროებში შეძვრებიან. უმრავლესობამ ეს კანონი რომ გავიტანოთ, ერთადერთ გზას ვხედავ — ჩვენი სრულიად სახალხო ერთიანობა მთელ მსოფლიოს უნდა დავანახვოთ.

ანგლოსაქსებმა თუ დაინახეს, რომ ქართველი ხალხი ამ კანონს მხარს უჭერს, მაშინვე უკან დაიხევენ. მაგრამ თუ ხელისუფლება მიკროფონს ხელში იმ ხალხს ჩაუგდებს, საკუთარ თავს ოპოზიციას რომ ეძახიან, ანუ, გაწიწმატებულ რევანშისტ ნაცბანდის ქალებს, ხალხს თუ გვერდით არ დაიყენებს, მაშინ დასავლეთიც და მეხუთე კოლონაც თავისას გაიტანენ.

**თამარ შველიძე**

# გამჭვირვალობა არის ერთ-ერთი მთავარი დასავლური ფასეულობა და ამას ვერავინ შეეწინააღმდეგება

*გვესაუბრება პარტია „ხალხის ძალის“ წევრი ზურაბ ქადაგიძე*

**- ბატონო ზურაბ, გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა, რომელსაც ირაკლი კობახიძე ბერლინში შეხვდა, მხარდაჭერის დაპირების პარალელურად, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტი გააკრიტიკა და იმედი გამოთქვა, რომ არ იქნება მიღებული ის კონცეფცია, არსებული სახით. რა გავლენა შეიძლება მოახდიონოს მმართველ გუნდზე ევროკავშირის ერთ-ერთი ლიდერის ასეთმა შეფასებამ?**

- გერმანიის პირველი პირი იქნება ეს თუ აშშ-ის, ნებისმიერმა ადამიანმა, რომელსაც კანონპროექტის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულება აქვს, უნდა მოიყვანოს არგუმენტი, თუ რა მიზეზით ეწინააღმდეგება მას და, პირობითად, როგორი სახით უნდა იყოს კანონპროეტი წარმოდგენილი. დავსხდებით და ვისაუბრებთ საჯაროდ, ნებისმიერი ფორმატით და აქედან გამომდინარე შევჯერდებით. ცალსახად საუბარია იმაზე, რომ ასეთი ფორმირების კანონი არა აქვს ევროკავშირს და ასეც არის. არც ევროკავშირის ქვეყნებს და არც აშშ-ს არა აქვს ზუსტად ასეთი კანონი, რადგან მათი კანონები გაცილებით მკაცრია. ახლა კიდევ საფრანგეთი იღებს ბევრად მკაცრ კანონს, რომელიც სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. ამ თითოეული კანონის ინსპირაცია გამომდინარეობს კონკრეტული ქვეყნის საგარეო თუ საშინაო გამოწვევებიდან და სწორედ ამიტომ, ჩვენი კანონპროექტი არის მხოლოდ ქართული და არ ჰგავს სხვა კანონებს. ხელაღებით საუბარი ყოველგვარი არგუმენტის გარეშე, არ შეიძლება. რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან და შიდა პოლიტიკური გამოწვევებიდან გამომდინარე, სასიცოცხლოდ აუცილებელია ჩვენი ქვეყნისთვის გამჭვირვალობის კანონი, რომლის სულისკვეთებაც არის სუფთა დასავლური. ერთ-ერთი მთავარი დასავლური ფასეულობა არის სწორედ გამჭვირვალობა და ამას ვერავინ შეეწინააღმდეგება, მაგრამ ფორმულირებაზე თუკი ვინმეს აქვს პრეტენზია, მაშინ კითხვა უნდა დავსვათ - აბა, როგორს გვთავაზობ? რადგან ამ კითხვაზე პასუხი არ არის, გვაქვს უფლება ვიფიქროთ, რომ ეს დაუსაბუთებელი წინააღმდეგობა გლობალური პოლიტკონიუნქტურის ნაწილია. თუ აქვთ პრეტენზია, კონკრეტული ფაქტებით გვესაუბრონ, რადგან ეს არის ჩვენი შიდა პოლიტიკური საკითხი და ვინც უნდა წავიდეს ამის წინააღმდეგ, ჩვენ მაინც ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ.

**- როგორც აღნიშნეთ, ეს კანონპროექტი არ ჰგავს არც ევროპულს და არც ამერიკულს და მხოლოდ ქართულ რეალობაზეა მორგებული, მაგრამ იქნებ, ის რამით მართლა ჰგავს ამ ყბადაღებულ რუსულ კანონს? არის რაიმე მათ შორის საერთო?**

- აბსოლუტურად არაფერი! ამ ადამიანებს წაკითხულის გააზრებაც უჭირთ და წაუკითხავს, აბა, როგორ გაიაზრებენ?! უბრალოდ, ფიქრობენ, რომ თუ ყველაფერს „რუსულს“ დაარქმევენ, ეს გაამართლებს და საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე იმოქმედებს. რეალურად კი, ცა და დედამიწასავით განსხვავდება რუსული კანონი ჩვენი ქართული ვარიანტისგან. ზედაპირულად

გეტყვით, თორემ რომ ჩავუღრმავდეთ, პუნქტი-პუნქტსაც ვერ დავამთხვევთ ერთმანეთს. რუსული კანონი ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ დევნას, საქმიანობაში ხელის შეშლას, აღკვეთის ღონისძიებად - პატიმრობას, აქვს ძალიან დიდი სანქციები... ჩვენს კანონპროექტში კი საუბარია მხოლოდ და მხოლოდ შემოსული თანხის მიზნობრიობაზე და ფინანსურ ვალდებულებებზე, რომელიც უნდა იყოს გაწერილი. დარღვევის შემთხვევაში კი განსაზღვრულია მხოლოდ და მხოლოდ ჯარიმა 25 ათასი ლარის ოდენობით, ადმინისტრაციული წესით. აქედან გამომდინარე, ყველა პარალელი ბათილდება და კითხვის ნიშანიც აღარ რჩება. თუმცა, თანამედროვე „სეთურები“: გიგაური, ლომჯარია და მათი უფროსები დაჟინებით გაჰკივიან „პოლიქრონიონს“ და ცდილობენ, ადამიანებზე ემოციურად იმოქმედონ. ათიდან ერთი ადამიანიც რომ დაარწმუნონ, რომ ეს არის „რუსული კანონი“, ესეც მიღწევაა მათთვის, აქციებში თუ დაპირისპირებაში ამ ადამიანების გამოსაყენებლად.

**- პრემიერმა განმარტა და სხვებმაც შენიშნეს, რომ საქართველოდან წარგზავნილმა რადიკალურად განწყობილმა თარჯიმანმა შეგნებულად დაამახინჯა გერმანიის კანცლერის საუბარი და ტექსტი თარგმნა ისე, რომ თითქოს აღნიშნული კანონპროექტი შოლცმა „აგენტების კანონად“ მოიხსენია...**

- ეს არის ძალიან დიდი პრობლემა თვითონ გერმანული მხარისთვის, რადგან, როგორც ვიცი, სწორედ მათი მხარდაჭერით იყო ეს ადამიანი თარჯიმნად წარგზავნილი. ის კი იმდენად გათავხედდა, რომ გერმანიის ლიდერის სიტყვები გააყალბა! ესენი არიან 21-ე საუკუნის მონური ფსიქოლოგიის მქონე ადამიანები, რომლებიც ყველაფერს კადრულობენ პირადი ინტერესების გამო. წარმოიდგინეთ, რამხელა თაღლითობასთან და როგორი მასშტაბის ფეიკკამპანიასთან გვაქვს საქმე! ეს არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ რეალურად როგორ ოპონირებს რადიკალური ოპოზიცია, - კოლექტიური „ნაცმოძრაობა“. ამ ადამიანებს არ მოეკითხებათ არანაირი საღი აზრი და სრულიად დაცლილი არიან რაციონალიზმისგან. მათი ერთადერთი მიზანი და შესაძლებლობაა, საზოგადოების დაპირისპირება გამოიწვიონ და ფეიკკამპანიები მართონ, რათა ადამიანების ემოციებით ითამაშონ. ეს თარჯიმანიც ერთ-ერთი ნაცნაძირალათაგანია, რომელიც ასეთი დონის შეხვედრაზე მიიწვიეს იმისათვის, რომ ტექტი სიტყვა-სიტყვით ეთარგმნა, მან კი რა გააკეთა! აქ ხომ გრამატიკულ შეცდომაზე არ არის საუბარი, ეს არის მიზანმიმართული მავნებლობა და, პირველ რიგში, გერმანიის მხარის შეურაცხყოფა, რაზეც მას, სავარაუდოდ, პასუხი უნდა მოსთხოვონ.

**- თუმცა, არამხოლოდ თარჯიმანი, ხელოვანი ადამიანებისა და სპორტსმენების გარკვეული ნაწილიც აქტიურობს აღნიშნული ინიციატივის წინააღმდეგ...**

- საზოგადოებაში არსებობს გარკვეული „კასტა“, რომელსაც აქვს პრეტენზია პრივილეგირებულობაზე და მიიჩნევს, რომ ის არის აზრის გენერატორი და აქვს ვალდებულება, რაღაც იდეა მიაწოდოს საზოგადოებას! ასეთ ადამიანებში მოიაზრება ხელოვნებას ამოფარებული მხატვრების, მწერლების, მუსიკოსების, მოცეკვავეების თუ სპორტსმენების გარკვეული ნაწილი. სწორედ ასეთი კატეგორიის ადამიანები იყვნენ საქართველოში მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, რომლებიც დღისით სცენაზე იდგნენ და საღამოს ბერიას „დანოსებს“ უწერდნენ. სწორედ ასეთმა ადამიანებმა დაამხეს ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება, ტაშს უკრავდნენ სამხედრო გადატრიალებას და ძმათამკვლელ ომს... ახლა კი იგივე კატეგორია სახელმწიფო სუვერენიტეტსა და ვასალობას შორის მარტივ არჩევანს აკეთებს, რადგან მიიჩნევს, რომ იმაზე მეტ „სალაფავს“ ვერ მისცემს საქართველო, რასაც თავიანთი დონორები აძლევენ. ესენი არიან კუჭის კანონზომიერებას მორგებული ადამიანები.

მეც ევროპას ვირჩევ და ყველა ჭკუათმყოფელი ადამიანი ირჩევს, რა თქმა უნდა, ევროპას, ამაში ორი აზრი არ არსებობს! თუმცა, 30 წელია გავიძახით, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“ და როცა საშუალებაა, ეს უნდა გამოვიყენოთ, სასარგებლო იდიოტის როლი არ უნდა მოვირგოთ. თუ გარკვეულ კარიერულ წარმატებას მიაღწიე და ავტორიტეტით სარგებლობ საზოგადოებაში, ეს ავტორიტეტი მერკანტილურ ინტერესებზე არ უნდა დაახურდავო და თავი არავის უნდა გამოაყენებინო, რადგან ამ შემთხვევაში ბოროტების ისეთივე თანამონაწილე გამოდიხარ, როგორიც ლომჯარიაა. შემდეგ ამ ადამიანებს რომ ჰკითხო, გეტყვიან, რომ აპოლიტიკურები არიან, პოლიტიკაში საერთოდ არ ერევიან. ვისაც გინდა, მიეცი ხმა, ვინც გინდა, ის აირჩიე, მაგრამ, როდესაც ასეთი მასშტაბური საკითხი წყდება, შენ კი არათუ არ წაგიკითხავს, წარმოდგენაც არ გაქვს რაზე საუბრობ, მაგრამ ამბობ, რომ „ტანით გრძნობ“ და ამიტომ ეწინააღმდეგები, წარმოიდგინეთ, როგორი მავნებლობაა. კი გამეცინა თავიდან, როცა ერთ-ერთმა ხელოვანმა ასეთი „არგუმენტი“ მოიყვანა, მაგრამ რომ დააკვირდეთ, რა დონის მავნებლობაში შეყვნენ ამ ნაძირლებს, ეგრეთ წოდებულ კამპანიის დამგეგმავებს მეტ-ნაკლებად ცნობილი სახეები - სასაცილო ნამდვილად არ არის! ამიტომ პოლიტკონიუნქტურებს და „ტრენდებს“ აყოლილი საზოგადოება ცოტა უნდა დაფიქრდეს, რათა ის „ორი კინკილა“ ავტორიტეტიც არ დაკარგოს, რაც გააჩნია!

**- გეთანხმებით, ჩვენ ყველა ვირჩევთ ევროპას, მაგრამ ხომ არ არის რისკი იმისა, რომ მსგავსმა განწყობებმა ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების ხელმძღვანელების მხრიდან შეაფერხოს საქართველოს ევროკავშირისკენ სვლა?**

- როდესაც ჩვენ ევროპული პერსპექტივა მოგვანიჭეს, მოლდოვას და უკრაინას კი - კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, გამოვიდა ემანუელ მაკრონი და ქართველებს ქვეყნის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე მიგვანიშნა. თუმცა, საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ამ ორივე ქვეყანაზე წინ ვიყავით და დამსახურებულად მოგვანიჭეს კიდევაც კანდიდატის სტატუსი. ასე რომ, კონიუნქტივები, სიტუაციიდან და გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სინათლის სისწრაფით იცვლება. წელს არჩევნებია ევროპის ქვეყნებში, არჩევნებია აშშ-ში და გადამწყვეტი არჩევნებია, ასევე, საქართველოში. დამიჯერეთ, შედეგებიდან ჩანს, რომ ასეთი პათოსით, დამოკიდებულებით, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობით, სადაც გამორიცხულია სპეკულაციური პოლიტიკა, საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის წინ, ევროკავშირისკენ! შეიძლება სპიკერები რაღაც ნარატივს აყენებენ, მაგრამ მერწმუნეთ, გაერთიანებაში არავის სჭირდება სუვერენიტეტ-ჩამოშლილი, ცალ ფეხზე მდგომი ქვეყანა. მყარად მდგომი სუვერენული სახელმწიფო, დემოკრატიულ წეს-წყობილებასთან შეთავსებული კანონებით, თავისი მართლმსაჯულებით, საპარლამენტო მმართველობით და აღმასრულებელი ხელისუფლებით, მეტად მისაღებია, ვიდრე „ბალასტი“ სახელმწიფო. ამის ძალიან კარგი მაგალითია მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდი. პირადი კონტაქტებიდან გამომდინარე, სააკაშვილის „მეგობარი“ ელჩები ამბობდნენ, რომ მიშა დემოკრატიის შუქურაა, რომ საქართველოში ყვავის დემოკრატია, მაგრამ რეალურად ყველამ იცოდა, რა სისტემა შექმნა სააკაშვილმა და როგორი მოძალადეობრივი იყო „ნაცმოძრაობის“ რეჟიმი. ამიტომაც ვიდექით კარგა ხანს ღია კარში და ველოდებოდით, როდის შეგვამჩნევდნენ.

ევროპულ ოჯახს სჭირდება ძლიერი სუვერენული სახელმწიფო უსაფრთხოების გარკვეული პარამეტრებით, სტაბილური პოლიტიკური პროცესებით, რომელიც არის, ასევე, მშვიდობის გარანტი თავის რეგიონში. ეს ყველაფერი ავტომატურად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე და არავის დააწვები მხრებზე ზომაზე მეტად, როცა გაერთიანებაში შეხვალ. აქედან გამომდინარე, ხელი არანაირად არ შეგვშლება.

აღნიშნული კანონპროეტი არის ძალიან სერიოზული მსჯელობის შედეგად წარმოდგენილი, რომელიც მოიწონა უმრავლესობის თითოეულმა დეპუტატმა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე ეს არის უნივერსალური ვერსია. თუკი ვინმე თავის არგუმენტებს და შენიშვნებს წარმოგვიდგენს, მზად ვართ ნებისმიერ ადამიანთან დისკუსიისთვის. მთავარია, მათი მხრიდან იყოს ამის სურვილი.

ნონა ქარქაშაძე

# მივიღოთ ახალი, მაგრამ არ დავივიწყოთ ძველი

*ნომრის სტუმარია პარტია „ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა წევრი, თსუ-ის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი პავლე კახიძე.*

**- პაპუნა, როგორც ვიცი, ახლობლები ასე მოგმართავენ. მიხარია, რომ შენნაირ ჭკვიან და გაწონასწორებულ ახალგაზრდებსაც ვხედავ პოლიტიკაში. მინდა, წარმატება გისურვო. პარტია „ხალხის ძალამ“ რით დაგაინტერესა?**

- დიდი მადლობა. 13 წლიდან ვარ ტრენერი და აქტიურად ვატარებ ტრენინგებს სხვადასხვა, როგორც სამართლებრივი, ასევე ტექნიკური უნარების გამომუშავებისა თუ საჯარო გამოსვლების მიმართულებით. დებატები, გუნდის მართვა, ლიდერობა, სამართლებრივი თემები, ადამიანის უფლებები... ჩემი ინტერესების სფეროა. დიახ, პარტია „ხალხის ძალის“ პირველი დამფუძნებელი ყრილობის დელეგატიც ვიყავი, რადგან მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, კონსერვატიული ფასეულობები განვითარდეს ჩვენს ქვეყანაში. რა თქმა უნდა, მივესალმები ევროკავშირს, ჩვენ აუცილებლად უნდა გავხდეთ ევროკავშირის წევრი, თუმცა აუცილებელია, გავუფრთხილდეთ იმ ძველსა და იდენტურს, რაც ქართულია, რაც ჩვენი ნაწილია. მივიღოთ ახალი, მაგრამ არ დავივიწყოთ ძველი - სწორედ ეს არის „ხალხის ძალის“ იდეოლოგია.

**- თქვენს თაობასაც ასეთივე ინტერესი აქვს პოლიტიკის მიმართ? რა განწყობაა ახალგაზრდებში ამ მიმართულებით?**

- ჩემს თაობას პოლიტიკა ნამდვილად აინტერესებს, თუმცა, არიან კონკრეტული ჯგუფები, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობენ, რომ იმ ახალგაზრდების სტიგმატიზაცია მოახდინონ, ვისაც ჩემნაირი შეხედულებები აქვს. ესენი არ არიან ნეიტრალური ადამიანები, ესენი არიან ოპოზიციური პარტაქტივები - მხარე, რომლებსაც აქვთ პირდაპირი ვალდებულება, მოახდინონ ჩემი და ჩემნაირად მოაზროვნე ახალგაზრდების სტიგმატიზაცია. ეს არის მცირე ნაწილი იმ საზოგადოებისა, რომელიც ცდილობს, ფსიქოლოგიურად იმოქმედოს ადამიანებზე, მაგრამ, რადგან ვიცი, რომ ეს მათი დავალებაა, ამაზე მუშაობენ და თანხას იღებენ, უმნიშვნელოა ჩემთვის მათი აზრი. მიუხედავად ამისა, მაინც შემიძლია ვთქვა, დღითიდღე იზრდება იმ ახალგაზრდების რიცხვი, ვინც ჩემსავით საჯაროდ ამხელს ყველაფერს. კიდევ უფრო მეტი არიან ისინი, ვინც ამას ვერ ამხელს სწორედ ამ ჯგუფების ზეწოლის გამო, თუმცა ჩვენ, ახალგაზრდები სათქმელს აუცილებლად ვიტყვით არჩევნებზე.

**- შეცდომაში შეჰყავთ ეს ახალგაზრდები და კარგი იქნება, თუ ამას გააცნობიერებენ...**

- ლაზარე გრიგორიადისი, ჩემი აზრით, ამის ყველაზე კარგი მაგალითია - ადამიანი, რომელიც შეცდომაში შეიყვანეს. ჯერ კიდევ გასული წლის მარტში მაქსიმალურად ეცადნენ, ემოციურად ემოქმედათ ადამიანებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე, კანონპროექტი „რუსულად“ შერაცხეს და ხალხი ქუჩაში გამოიყვანეს. მოატყუეს ეს ახალგაზრდები, გამოიყენეს, შემდეგ კი „კოქტეილი“ შეაჩეჩეს ხელში და ციხისთვის გასწირეს. მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ლაზარე ამას თვითონ ვერ ხვდება და ჰგონია, რომ კარგი გააკეთა, რადგან ახლა ცდილობენ, ამ ადამიანისგან „გმირი“ გამოიყვანონ. ჩვენი პრეზიდენტის მიერ მისი შეწყალება კი იყო კრიმინალის და პოლიციელებისთვის ცეცხლის წაკიდების პოპულარიზება... ბევრი ახალგაზრდა, სამწუხაროდ, ასე შეიყვანეს შეცდომაში, თუმცა ჩვენმა მუშაობამ, მათ შორის, ჩემი და ჩემი მეგობრების საჯარო საუბრებმა, შედეგი გამოიღო იმ მხრივ, რომ არიან ახალგაზრდები, ვინც შარშან ამ კანონპროექტს ეწინააღმდეგებოდა, ახლა კი ემხრობიან და მიიჩნევენ, რომ გამჭვირვალობა სულაც არ არის ცუდი.

**- რეალურად კი კანონპროექტი არცერთ მათგანს არა აქვს წაკითხული და არც აინტერესებთ...**

- არათუ ახალგაზრდებს, იმ ექსპერტებსაც არა აქვთ წაკითხული კანონპროექტი, ვინც გამოდის და მას აკრიტიკებს. მე „ტანით“ კანონს ნამდვილად ვერ ვგრძნობ, თუმცა, იურისტის პროფესიას ვეუფლები და შემიძლია, მხოლოდ ჩემი გონებიდან გამომდინარე ვისაუბრო, რასაც წავიკითხავ, იქიდან აზრი გამოვიტანო.

გამჭვირვალობის კანონი, რომელიც რუსეთში მოქმედებს, ცუდი იმიტომ არის, რომ ის ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ანუ დაიჭერენ ადამიანს დარღვევის შემთხვევაში და კიდევ უარესი - უზღუდავენ საარჩევნო უფლებას, ორგანიზაციას კი საქმიანობა ეკრძალება. რაც ნამდვილად არ არის მისაღები დემოკრატიული ქვეყნისთვის. დასავლურ ვერსიაში, რაც უკვე მოქმედებს აშშ-ში და რასაც მალე საფრანგეთი მიიღებს, გაწერილია ჯარიმა, ორგანიზაციის დახურვაც არის გათვალისწინებული, მაგრამ დახურვა იქაც უკანასკნელი მექანიზმია, რაც ყველაზე ბოლოს მოქმედებს, როცა ორგანიზაციას მისცემენ შანსს, რომ ატვირთოს დოკუმენტაცია, ის კი არ ატვირთავს და გასაჯაროებას ეწინააღმდეგება. ჩვენი კანონპროექტი ითვალისწინებს მხოლოდ ჯარიმას 25 ათასი ლარის ოდენობით. ეს განსხვავებაა სხვადასხვა ქვეყნის კანონებს შორის, თორემ გამჭვირვალობა ყველასთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენთვის.

**- უცნაური ის არის, რომ თავიანთთვის საჭიროდ მიაჩნიათ, ჩვენთვის კი „არ ემეტებათ“ ეს კანონი ევროპელებს...**

- საქართველო დღეს არის ამიერკავკასიის ცენტრალური სახელმწიფო. უნდა ვთქვათ, რომ ამიერკავკასიაში რუსეთს ეტაპობრივად საქართველო ანაცვლებს. მხოლოდ ის ფაქტი რამდენად მნიშვნელოვანია, რომ სომხეთმა და აზერბაიჯანმა თბილისით ჩაანაცვლა მოსკოვი და ამჯობინეს, თბილისში დამსხდარიყვნენ მოლაპარაკების მაგიდასთან. ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს. გარდა ამისა, ჩვენ ვართ სატრანზიტო ქვეყანა, რომელიც ყველაზე უსაფრთხო კორიდორს სთავაზობს აზიიდან ჩინეთის პროდუქტის მისაწოდებლად ევროპას და ვართ მნიშვნელოვანი ევროპისთვის, სატრანზიტო კუთხით. ამიტომაც, მათთვის მთავარია, საქართველოში ყველაფერი ისე ხდებოდეს, როგორც მათ უნდათ და ეს არ არის სწორი დამოკიდებულება. კი ბატონო, ჩვენც გვინდა ევროპა, მაგრამ უნდა ვითანამშრომლოთ არა მხოლოდ მათი, არამედ ჩვენი ინტერესების გათვალისწინებითაც. მათი მიზანია, დამალონ თანხა, რაც საქართველოში შემოაქვთ, რათა ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნან საქართველოში. მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ გერმანიაში დაიხურა თბოელექტროსადგურები, რომლისგანაც გერმანია ელექტროენერგიას იღებდა. შემდეგ გამოქვეყნდა, რომ „მწვანე“ ენჯეოები, ვინც გარემოს დაცვის თემას კურირებდნენ, რუსეთიდან ფინანსდებოდა. მათი მთავარი მიზანი იყო, მეტად ენერგოდამოკიდებული გამხდარიყო გერმანია რუსეთზე და მართლაც ასე მოხდა. რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანას აქვს ინტერესი საქართველოს მიმართ. ცდება, თუ ვინმე ფიქრობს, რომ სადმე რუსეთი პირდაპირ მოსკოვიდან რიცხავს თანხას. რუსეთს პირდაპირ არცერთ ქვეყნაში თანხა არ შეაქვს. აქ მთელი ჩახლართული სქემებია - ჯერ ევროპაში რიცხავენ, ან სხვა ქვეყნებში და მხოლოდ შემდეგ შედის რუსული ფული კონკრეტულ ქვეყანაში. ეს სქემა უსაფრთხოების ნებისმიერ სამსახურს შეუძლია გაშიფროს.

**- დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ამ კანონპროექტმა. რა გზას ხედავთ იმისათვის, რომ საზოგადოებაში დაპირისპირება შეჩერდეს და კიდევ უფრო არ გაღრმავდეს?**

- ეს დაპირისპირება არის სწორედ ენჯეო სექტორისა და რადიკალური ოპოზიციის მიზანი. ისინი ცდილობენ, რომ წინასაარჩევნოდ, მაქსიმალურად შეძლონ თავიანთი აქტივის მობილიზება, მათი, ვინც ჯერ კიდევ შემორჩათ. ამის გამო სჭირდებათ ეს მუხტი. თუმცა, ამ ყველაფერს უნდა დავუპირისპიროთ ჯანსაღი აზრი, სიმართლე, რადგან ძალა სიმართლეშია და სწორედ ამ სიმართლით გავიმარჯვებთ. რატომ დარბის მთელი „სანაცეთი“ და ოპოზიციური აქტივი ქუჩებში იმ პლაკატების ჩამოსახსნელად, სადაც კანონის მიზანი გარკვევით წერია?- იმიტომ, რომ სიმართლის ეშინიათ! არ უნდათ, ხალხმა სიმართლე გაიგოს, მაგალითად, საიდან ფინანსდებოდა ის ენჯეოები, რომლებმაც 2020 წელს ლამის რევოლუცია მოახდინეს ქვეყანაში, ვის ინტერესებში იყო ამის გაკეთება - იქნებ, რუსეთის, ჩვენ ხომ არ ვიცით?! საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ ქმნის ჩვენს ქვეყანაში არეულობას, მხოლოდ ეს არის ჩვენი მიზანი და სხვა არაფერი. უნდა ვიცოდეთ, ის ხალხი საიდან ფინანსდება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მილიონობით ლარს ხარჯავს და რა მიზნით შემოდის ეს თანხები.

გამჭვირვალობა დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია. გამჭვირვალობისა და საზოგადოების ინფორმირებულობის გარეშე დემოკრატია არ არსებობს. ევროპა კი დემოკრატიულ ფასეულობებზე დგას. შესაბამისად, ეს კანონპროექტი არის ევროპული.

**- თქვენი მშობლების თაობა იყო 9 აპრილის ერთ-ერთი შემოქმედი, რასაც შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა მოჰყვა. თუმცა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა რეალურად იყოს სუვერენული სახელმწიფო, ჯერ კიდევ გზაა გასავლელი... ამ გზაზე კი თქვენი, ახალგაზრდობის როლი ძალიან მნიშვნელოვანია...**

- თითოეული ჩვენგანის, მათ შორის, ახალგაზრდის ვალია, პირველ რიგში, ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაზე. დღეს ისეთ მსოფლიოში ვცხოვრობთ, ყველაზე ახლოს ვართ, ალბათ, უახლოესი 20 წლის განმავლობაში, მესამე მსოფლიო ომთან. ახლო აღმოსავლეთში ისეთი ამბები დაიწყო, უკრაინა და ჩვენი რეგიონი შეიძლება ერთ-ერთი ყველაზე კონფლიქტური რეგიონი გახდეს, ჩვენი სამეზობლო ვითარებიდან გამომდინარე. საქართველოს ორი ოკუპირებული ტერიტორია აქვს და მნიშვნელოვანია, ქვეყნის შიგნით ერთიანობა შევინარჩუნოთ.

დღეს 14 აპრილია. სახელმწიფო ენის გადასარჩენად 1978 წელს, სწორედ ახალგაზრდები გამოვიდნენ და მათ დაუდგნენ მხარში პროფესორ-მასწავლებლები, მწერლები და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. ახალგაზრდები თუ ერთად დგომას შევძლებთ, ჩვენ გვაქვს ძალა, რომ განვსაზღვროთ ამ ქვეყნის მომავალი. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ფსევდოლიბერალიზმმა წაგვლეკოს. პატივი უნდა ვცეთ ჩვენს ტრადიციებს და უნდა გვახსოვდეს, რომ უპირველესად, ქართველები ვართ. შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ ქვეყნის განვითარების ევროპული მოდელი, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, ქართველმა მეცნიერმა, მიშელ მუსხელმა (მუსხელიშვილმა) შეიმუშავა. ასე რომ, ევროპულ ფასეულობებთან ერთად, ჩვენ უნდა ვიცოდეთ და ვაფასებდეთ ჩვენი ქვეყნის წარსულს და მსოფლიოს უნდა წარვუდგინოთ საქართველო, როგორც უდიდესი ისტორიისა და კულტურის მქონე სუვერენული სახელმწიფო. დღეს იარაღით ბრძოლის ეპოქა აღარ არის. ეს უნდა დასრულდეს. დღეს არის ინფორმაციული ომის ერა და სწორედ ინფორმაციით უნდა ვიყოთ შეიარაღებული. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ახალგაზრდები, დასავლურ ფასეულობებზე დაყრდნობით, ერთად ვაშენოთ ეროვნული საქართველო.

**ნონა ქარქაშაძე**

# რომ ყვირიან ხელისუფლება უნდა დავამხოთო - რატომ არ იჭერთ?

*გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:*

**— ბატონო ელიზბარ, ზურაბიშვილმა გრიგორიადისის შეწყალების გადაწყვეტილება მიიღო. პოლიციის მანქანისთვის ცეცხლის წაკიდება ევროპული საქციელია, თუ რატომ მოიქცა ქვეყნის მთავარსარდალი ასე?**

— თუ ნებას მომცემთ, სანამ უშუალოდ კითხვაზე გიპასუხებთ, მიმდინარე მოვლენებს შევეხები. დღეს ქართულ სახელმწიფოს ოპოზიცია არ ჰყავს. საქართველო ორად იყოფა — იმ ადამიანებად, რომელთაც სამშობლო უყვართ და მის გადარჩენას, თვითმყოფადობის შენარჩუნებას ცდილობენ და ადამიანებად, რომლებიც ქვეყნის გამოკვეთილი მტრები არიან და ქართული კულტურის, ცნობიერების მოსპობისთვის ყველაფერს კადრულობენ. მავანი დემოკრატიაზე გვესაუბრება. ამ სიტყვამ ფასი დაკარგა და ახლა სიყალბესთან, სიცრუესთან ასოცირდება. სააკაშვილი რომ „დემოკრატიის შუქურის“ მანტიით იქნება მოსილი, რაზე უნდა ილაპარაკო.

ქვეყნის მტრებთან ბრძოლის გამოცდილება ნამდვილად მაქვს, მაგრამ ნაცების პირსისხლიანი რეჟიმის მოშორება ვერაფრით შევძელით, სანამ ბიძინა ივანიშვილი არ შემოვიდა პოლიტიკაში. დიდი მადლობა მას, რომ შეძლო, ქართველი ერი ნაცების მარწუხებისგან ეხსნა. ეს დიდი გამარჯვება იყო. არადა, სააკაშვილს სურდა, ხელისუფლებაში 2030 წლამდე ებოგინა. „ნაცმოძრაობა“ მმართველ ძალად რომ დარჩენილიყო, დღეს საქართველო და ქართველი კაცი აღარ იარსებებდა. ივანიშვილმა ხალხი ამ ბნელი ძალისგან, რომელიც მაშინვე „სოროსის“ სოროში შეძვრა და თავის გამოყოფას ვეღარ ბედავდა, გაათავისუფლა, მაგრამ ამ დროს თავს კოაბიტაცია მოგვახვიეს. ნაცების თავის წამოწევის საბაბი სწორედ კოაბიტაცია გახდა. მკვლელებთან თანაცხოვრება სად გაგონილა?! პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე, უსუფაშვილი აცხადებდა, ჩვენი უმთავრესი მიზანი ნაცების გადარჩენაა. საქმე იქამდე მივიდა, რომ დღეს ამ ნაძირალა ნაცებისგან გვიწევს თავის გადარჩენა.

მთელი უბედურება, იცით, რა არის? გავიძახით, ამერიკა ჩვენი მეგობარიაო. წლების წინ წიგნი დავწერე: „ვახ-მე, ჩემო მამულო!“, სადაც აშშ-ის „სიკეთეებზე“ ვისაუბრე. რაში დაგვეხმარა ამერიკა? — გიგაურს და მისთანებს არასამთავრობოები რომ დაუფინანსა, რითაც ამ უკანასკნელებმა საკუთარი კეთილდღეობა უზრუნველყვეს?! ხალხს რა სიკეთე მოუტანეს ენჯეოებმა? მიტინგებზე გამოდიან და ხელისუფლების დამხობისკენ მოგვიწოდებენ. გარდა ამისა, აქტიურად ასპარეზობენ „კმარას“ მსგავსი ორგანიზაციები: „ჯიუტი“, „ტალღა“, „სირცხვილია“. მართლა სირცხვილია, რომ დონორებისგან დაფინანსებული ქვეყნის მტრები, როგორც ქვეწარმავლები, აქეთ-იქით დასისინებენ, რათა როგორმე სამშობლოს საძირკველი გამოაცალონ.

დასავლეთი თითს გვიქნევს, გამჭირვალობაზე ფიქრს თავი დაანებეთო. კრამონი გვემუქრება, კანონის მიღების შემთხვევაში, ევროპული პერსპექტივა აღარ იარსებებსო. წლებია, მსგავსი კანონები მოქმედებს როგორც აშშ-ში, ისე ევროპაში, ისრაელში. ქართველი ხალხი ერთადერთ რამეს ვითხოვთ, გაგვაგებინონ, რას ხმარდება ეს ფული. ეკა გიგაურს თვეში 15 მილიონი ერიცხება მაშინ, როცა მეცნიერებათა აკადემიისთვის წელიწადში

მხოლოდ 5 მილიონია გამოყოფილი. მილიონები საკუთარი ქვეყნის დასაქცევად ერიცხებათ, მაგრამ ეს არ ადარდებთ. ამოიჩემეს, „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ კანონი რუსულიაო. ვაი, მათ პატრონს.

დავიმახსოვროთ, მტერი, რომელსაც ჩვენი სულიერი განადგურება სურს, ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე მტერი, რომელსაც ჩვენი ფიზიკური განადგურება უნდა! ჩვენი ე. წ. მეგობარი ამერიკა, თურმე, დემოკრატიას გვასწავლის. თავად ამერიკაში არის დემოკრატია?! მორფინისტი ფლოიდი სადაც დაკრძალეს, ის ტერიტორია ახლაც შემოღობილია. იცით, რამ გამაღიზიანა? — ე. წ. თეთრკანიანები დასაფლავებაზე ზანგებს ფეხებზე კოცნიდნენ. ეს არის დემოკრატია? ასეთი დემოკრატიის დამყარება სურთ აქაც?! მას მერე, რაც ქართულმა სახელმწიფომ მკაფიოდ განაცხადა, ქართველი ერის ინტერესებს დავიცავთო, შემოგვიტიეს, ამ კანონის მიღება არ გაბედოთო. ვინ ეკითხება მათ დამოუკიდებელი ქვეყნის საქმეში ჩარევას?!

ზოგ-ზოგიერთები რომ აცხადებდნენ, თუ საჭირო გახდა, ევროპაში ცალ ფეხზე მდგომნი უნდა შევიდეთო, თუ იაზრებენ, რომ დღეს ევროპამ თავისი ფასეულობები დაკარგა. მთელი კულტურა, ფილოსოფია გაქრა, რაზეც წიგნები დაიწერა: „ევროპის დაცემა“, „ევროპის სიკვდილი“. სად შევდივართ? — სადაც ტრანსგენდერებისა და „პედარასტების“, არაადამიანური ცხოვრების წესის ქადაგება მიდის და მექრთამეობა ზენიტშია! ნერვები იცით, რაზე მეშლება — ნაცები და მათი პატრონები კი ვიცით, რა ნაძირლებიც არიან, მაგრამ ეს ახალგაზრდები როგორ ჩაითრიეს ამ სიბინძურეში.

ეს ბავშვები, ვინც დღეს მოლოტოვის კოქტეილების სროლაზე არიან გამეცადინებული და ამის ტრენინგებს სიამოვნებით ესწრებიან, სწავლაზე არ ფიქრობენ. ასეთი სტუდენტები, წესით, სასწავლებლებიდან უნდა გაირიცხონ. მაგრამ არ რიცხავენ, რადგან ისინი ფულის წყარო არიან. შედეგად, სტუდენტები სასწავლებლებს უწიგნურები ტოვებენ.

ახლა ტელევიზორს ვუსმენდი, სტუდენტები აქციისთვის ემზადებიანო. პატარა გოგო გამოვიდა, მარშით გავეშურებით რუსთაველის მოედნისკენო. აქციისთვის კი არა, სჯობს, სწავლისთვის ემზადონ.

შარშან ხელისუფლებამ უკან დაიხია, მაგრამ დღესაც იგივე თუ განმეორდა, ეს ჩვენს წაგებას ნიშნავს. შედეგად მოვლენ ეს ნაძირლები, რომლებიც სულ რამდენიმე თვეში საქართველოს გაანადგურებენ. დააკვირდით, რა ხდება ამერიკაში, პრეზიდენტი აცხადებს, ტრანსგენდერები ამერიკის სული არიანო. კანადაში 30 მილიონი კაცი ცხოვრობს და ტრანსგენდერობის წინააღმდეგი სულ რაღაც 800 ათასი კაცია.

ამ ოპოზიციონერ ქალებზეც მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა. ესენი ქალები არიან?! ტოლსტოის აქვს ნათქვამი: არაქრისტიან ქალებს თავისუფლებას რომ მიანიჭებ, ცხოველებად იქცევიანო. ესენი რა, განა ქრისტიანები არიან, ღმერთი სწამთ?! ვიღაც უწიგნური, დაუბანელი ქალი გამოდის და პატრიარქს აგინებს. სამადოვის ქცევები რას ჰგავს?! ახლა ერთი ამბავი ატეხეს, გენდერული კვოტირების კანონი რატომ გაუქმდაო. ქალების მიმართ დისკრიმინაციული განცხადებები კეთდებაო. დისკრიმინაცია მათი პარლამენტში ყოფნაა.

**— „მედიის განვითარების ფონდმა“ ისიც აღნიშნა, პრეზიდენტზე თავდასხმები ხორციელდებაო.**

— შეცდომა ყველას მოსდის, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბოლო სამი პრეზიდენტი, არ ვიცი, რას შევადარო. სააკაშვილზე ბევრს არ შევჩერდები, იგი ჩემს ერთ-ერთ წიგნში კალიგულად მყავს მოხსენიებული. მერე ნაძირალა მარგველაშვილი ავირჩიეთ, რომელმაც დაწერა ნაშრომი: „ნიჩურტა, მე ქართველი ვარ“, სადაც ქართველი ერი ავადმყოფად გამოიყვანა, რომლის განკურნებაც თურმე, შეუძლებელია. იგი თავისი მდიდარი სექსუალური ცხოვრებითაც ამაყობდა.

მერე პრეზიდენტად ზურაბიშვილი მოგვევლინა. მაშინ ვწერდი, რომ ამ ზნეობრივად გახრწნილი დედაკაცის არჩევა არ შეიძლებოდა. მას გონება საერთოდ არ უჭრის, სულელი, უტყვი, ანუ პირუტყვია. მის ზნეობრივ ცხოვრებაზე ლეგენდები დადის. მას ქართველობა არ სჭირდება, შვილის ნათლიას ცოლად გაჰყვა. დღეს ეს ნაძირალა ბედავს და სახელმწიფოს ებრძვის. **ასეთი რამ არსად მომხდარა — ქვეყნის პრეზიდენტი თავის ხელისუფლებას, ხალხს ებრძოდეს**. იგი საქართველოს გამოკვეთილი მტერია. აბა, სხვა რა ვუწოდო მის ქცევას, როცა ნაძირალა, რომელმაც მამა უკანალში დაჭრა და პოლიციელებს მოლოტოვის კოქტეილები დაუშინა, ისინი მოსაკლავად გაიმეტა, პოლიციის მანქანა გადაწვა, 9-წლიანი სასჯელის მისჯიდან მეორე დღესვე შეიწყალა. რადგან ზურაბიშვილს ხელისუფლება ვერ სჯის, ამიტომ ხალხი უნდა მივიდეს და რეზიდენციიდან პანჩურის კვრით გამოაგდოს. რა უნდა, მაგას საქართველოში?

თუ სახელმწიფოს პრობლემების მოგვარება არ შეუძლია, ეს ქართველმა ხალხმა უნდა გავაკეთოთ. აგერ, ნოდარ მელაძე გამოდის და ღარიბაშვილს ათას სიბინძურეს უგონებს. ასეთი ხალხი უნდა დაისაჯოს, ცილისწამებისთვის ყველამ პასუხი უნდა აგოს. ეს არ არის დემოკრატია. დემოკრატიულ ქვეყანაში სიმართლე იმარჯვებს. მიშა ოროთახიან ლუქსში რომ წამოჭიმეს, დაგვავიწყდა, მისი რეჟიმი რეებს სჩადიოდა?! პატიმრებს მიცვალებულთან აბამდნენ. კაცებს მაგიდაზე აბამდნენ და ისე აუპატიურებდნენ. კოჭლ კაცს, რომ ვერ შეძლო, ვიაგრა დაალევინეს, შემდეგ მეუღლის და მცირეწლოვანი შვილის თვალწინ გააუპატიურებინეს ადამიანი. ესენი გველაპარაკებიან ზნეობაზე და ევროპელობაზე?! სააკაშვილი, გვარამია, ადეიშვილი, კეზერაშვილი არიან ევროპელები, ეს ხალხის გამაუპატიურებლები?!

შოლცმა გვითხრა, არ გჭირდებათ გამჭირვალობის კანონიო. ვითომ რატომ, პატარა ერი რომ ვართ, იმიტომ გვჩაგრავენ?! უდიდესი ერები გადაგვარდნენ. ჩვენ ქვეყნის სიყვარულმა, მამულის რწმენამ გადაგვარჩინა. ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს. საკუთარ თავს თუ თავად არ მივხედეთ, ჩვენი გადამრჩენი არავინაა — არც ამერიკა, არც რუსეთი, არც ევროპა. მათ სურთ, კატოკივით გადაგვიარონ. ბაიდენმა თქვა, უკრაინაში ომი უნდა დავასრულოთ და ამიერკავკასიას მივხედოთ, საქართველომ ომი უნდა დაიწყოსო. აი, ეს უნდათ — საქართველოს ფიზიკურად განადგურება.

აქვე, ერთი შეკითხვა არ მასვენებს, შევარდნაძის დროს არჩევნები რომ გაგვიყალბეს, ჟურნალისტებთან ვთქვი, თუ ოპოზიცია გავერთიანდებით, ხელისუფლებას ტაშ-ფანდურით გავუშვებთ-მეთქი. მეორე დღეს შევარდნაძემ პრესის წარმომადგენელს ინტერვიუში უთხრა, ხელისუფლების დამხობის მოწოდება ისმისო. ჰოდა, სახლში დამადგნენ და მაშინვე დამიჭირეს. ეს ოპოზიცია პირდაპირ მიტინგებზე, ასევე ტელეეკრანებიდან გაჰყვირის, ხელისუფლება უნდა დავამხოთო და მათ რატომ არ იჭერენ?!

**— როგორ ფიქრობთ, 7-8 მარტის აქციის ყველა დამნაშავე რომ დასჯილიყო, ზურაბიშვილი მაინც გაბედავდა გრიგორიადისის შეწყალებას?**

— რა თქმა უნდა, ვეღარ გაბედავდა. მეც სწორედ მაგას ვამბობ: პოლიციელიების დაწვის მცდელობა იქნება, თუ ხელისუფლების დამხობის მოწოდება, ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს! ნეტავ, არ რცხვენია ზურაბიშვილს, მთავარსარდლად რომ მოაქვს თავი. მე ვიცი, მაგას ვისი მთავარსარდლობაც მოუხდება — ბოზების ჯარი უნდა შექმნას და მათ უმთავარსარდლოს. იგი ყველაფრის მკადრებელია. გრიგორიადისი შეგნებულად გაათავისუფლა — სხვები წააქეზა, ესროლეთ, მოკალით ჩვენი პოლიციელებიო. შარშან ამერიკიდანაც იგივე მოწოდებებს არ აჟღერებდა?! ერთი მითხარით, ამერიკაში პოლიციელზე ხელის აწევას რომ გაბედავს, ასეთ ხალხს რას უშვებიან?! აქ მოლოტოვის კოქტეილებს ისროდნენ და ვითომც არაფერი. ესენი ყველანი დასაჭერები არიან. თუ მათი დაჭერა არ უნდათ, საქართველოში ცხოვრება აუკრძალონ, აქედან განდევნონ.

ნაძირალა ოპოზიციას, უცხოური დაფინანსებით რომ გაგულისებულა, თუ სახელმწიფო ვერ ერევა, ქართველი ხალხი მიხედავს. ისინი თუ ოთხი ათასი იქნებიან, ჩვენ ოთხასი ათასი ვიქნებით და მაგათ სუყველას გადავთელავთ. აი, ეს არის მთავარი.

**თამარ შველიძე**

**პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გასული წლის 7-9 მარტის აქციების შედეგად დაკავებული ლაზარე გრიგორიადისი შეიწყალა.**

**„ეს გადაწყვეტილება მივიღე ამ დილით 10 საათზე. არ დაველოდე არც არავის მოწოდებას, ვერავინ ვერ ჩაითვლის ქულებს, არც მუქარებს, იმიტომ, რომ მე ჩემი სინდისის წინაშე ჩავთვალე, რომ არ შეიძლება, ეს ახალგაზრდა 9 წლით დაისაჯოს... გადაწყვეტილება იყო მიღებული ყველანაირი გამოთქმული აზრის გარეშე. მე, ჩემ თავთან ერთად, ამაზე რამდენიმე დღეა, ვფიქრობ", - განმარტა ზურაბიშვილმა.**

**ლაზარე გრიგორიადისის საქმეზე განაჩენი 12 აპრილს მოსამართლე ზვიად შარაძემ გამოაცხადა. ერთწლიანი სასამართლო განხილვის შემდეგ, მან გრიგორიადისს 9-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. მოსამართლემ გრიგორიადისი დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით:**

**353-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით (პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფა მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით) და 187-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (სხვისი ნივთის განადგურება, ცეცხლის წაკიდებით).**

# ლაზარესგან ისეთივე გმირი გამოვა, როგორც მიშასგან – გიორგი სააკაძე!



**გია აბაშიძე, ანალიტიკოსი:**

არ არის გასაკვირი, რომ „ნაცების" პრეზიდენტმა, ანტიქართველმა სალომე ზურაბიშვილმა პოლიციელებზე თავდამსხმელი ლაზარე გრიგორიადისის შეწყალების გადაწყვეტილება მიიღო. რასაკვირველია, ღალატის პარტიის ამ ერთ-ერთს პერსონაჟს, და არა ლიდერს, ფსევდოგმირის, კრიმინალის გამოშვებით, უნდა, რომ ხელი შეუწყოს „გამჭვირვალობის კანონის" ნაცგაპროტესტების მუხტის როგორმე აწევას. როგორ გამოუვა ხალხთან „მკლავჭიდი" ამ სამარცხვინო ეგრეთ წოდებულ პრეზიდენტს, ამასაც დავინახავთ.

აგენტოკრატიის მონა ფორმალური პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ აღარ უნდა ცხოვრობდეს საქართველოში და არ უნდა ჰქონდეს უშფოთველი პენსიონერობა. ირაკლი ღარიბაშვილის ერთ-ერთი უზუსტესი შეფასებით - „რეპუტაციაშელახული სალომე ზურაბიშვილი თავს დაესხა ჩვენს სახელოვან ოფიცრებს"! და ამას აკეთებს იმის გამო, რომ არის აგენტოკრატიის მონა. ალბათ, უღირს ამგვარი ტოტალურად უმსგავსო ქმედებები, რადგან სინდის-ნამუსი დიდი ხანია დაკარგა უსაქციელო ეგრეთ წოდებულმა პრეზიდენტმა. ქართული საზოგადოება სამაგალითოდ მომთმენია, თორემ აქამდე სავარძლიანად გამოათრევდნენ სალომე ზურაბიშვილს ორბელიანების სასახლიდან ისე, რომ ვერანაირი დაცვა ვერ უშველიდა.

**თამარ ჩიბურდანიძე, პარტია „ხალხის ძალის" წევრი:**

სალომე ზურაბიშვილმა ქართულ პოლიციას აკადრა ის, რაც სააკაშვილსაც კი არ უკადრებია. მან კრიმინალის შეწყალებით ცეცხლი წაუკიდა ყველა პოლიციელს, ვინც ჩვენს და, მათ შორის, მის უსაფრთხოებასაც იცავს. რომ არა კანონის ვალდებულება, პრეზიდენტი ღირსია, ყოველგვარი დაცვის გარეშე დარჩეს. ეს შეურაცხყოფილი პოლიციელები აუცილებლად გასცემენ პასუხს არჩევნებზე უთავმოყვარო პრეზიდენტს და კოლექტიურ „ნაცმოძრაობას". დარჩა კიდევ რაიმე უსინდისობა, რაც არ გაუკეთებია ზურაბიშვილს? პოლიციელის ღირსება ფეხქვეშ გათელა და ამის შემდეგ როგორ გინდა, ახალგაზრდას მოსთხოვო მათდამი პატივისცემა? ზურაბიშვილმა ამით წაახალისა სხვა ახალგაზრდებიც დაუმორჩილებლობისკენ და სისხლისღვრისკენ. იქამდე მიიყვანს საქმეს, რომ ქართველი ხალხი მას გააგდებს საქართველოდან და აღარასდროს აქ არ ჩამოუშვებენ.

**პავლე კახიძე, სტუდენტი:**

ქალბატონო პრეზიდენტო, თქვენ ეს გადაწყვეტილება არის სირცხვილი, უტიფრობა და სახელმწიფო სტრუქტურების შეურაცხყოფა. იმ ადამიანის შეწყალება, ვინც პოლიციელების ცოცხლად დაწვას ცდილობდა, სირცხვილია! ამის შემდეგ ის ადამიანები შეიწყალეთ, ვინც თქვენს რეზიდენციას დაუშენენ მოლოტოვის კოქტეილებს და იმათგან გამოიყვანეთ გმირი!

ლაზარესგან ისეთივე გმირი გამოვა, როგორც მიშასგან - გიორგი სააკაძე! მოლოტივის კოქტეილის მსროლელი გმირი ვერ იქნება, ვერა!

**ია მეტრეველი, სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული ბუტა რობაქიძის დედა:**

სალომე ზურაბიშვილის საქციელი არის კრიმინალის წახალისება ახალგაზრდა თაობისთვის. ისეთ მანიაკს, რომელიც სასიკვდილოდ იმეტებდა ადამიანებს და ეს თვითონაც აღიარა, თითქოს არაფერი დაუშავებია, ლამის „გმირის" წოდება მიანიჭონ! გასაოცარი ის არის, რომ პრეზიდენტი ყველაფერს ხელისუფლების წინააღმდეგ აკეთებს! რატომ, რა მიზეზით იქცევა ეს ქალი ასე?! ამდენი ღალატი და ამდენი ანტისახელმწიფოებრივი ქმედება მისი მხრიდან, ძალიან გულდასაწყვეტია. ეს არის ჩვენი პოლიციის შეურაცხყოფა. ამერიკასა და ევროპაში რომ ვინმემ პოლიციას მოლოტოვის კოქტეილები დაუშინოს, რა პასუხს გასცემს მას თავისი ქვეყნის მართლმსაჯულება? თუ ახალგაზრდების „მფარველად" უნდა რომ მოგვევლინოს, ამ ქალბატონს, მაშინ ის ბიჭებიც გამოუშვას ციხიდან, ევროკავშირის დროშა რომ დაწვეს. მათი დანაშაული უფრო მძიმეა?! - ეს არის უსამართლობა!

**ზურაბ ქადაგიძე, პარტია „ხალხის ძალის" წევრი:**

ვერავინ იტყვის, რომ პრეზიდენტი ამას არ იკადრებდა, რადგან მან ამ წლების განმავლობაში იმაზე ბევრად მეტი „იკადრა", რასაც წარმოვიდგენდით. არც გასაკვირი ყოფილა მისგან, როდესაც სასამართლოს პირველი ინსტანცია, მეორე, მესამე არ გაუვლია და განაჩენის გამოცხადებიდან ათ წუთში ასეთი განცხადება გააკეთა. წარმოიდგინეთ, რა დონის პოლიტიკური გადაწყვეტილებაა ეს! ისინი საუბრობენ დეპოლარიზაციაზე და ზოგადად, მართლმასჯულებაზე, თუმცა, პრეზიდენტი ყველანაირ ზღვარს გადავიდა ამ საქციელით. ერთადერთი პოზიტივი, რაც ამ ნეგატიური ფაქტორისგან შეიძლება მივიღოთ, ის არის, რომ ყველამ ძალიან კარგად გამოაჩინა თავისი სახე და შემოდგომით, არჩევნებზე იქნება მხოლოდ ორი არჩევანი: ერთ მხარეს - აგენტოკრატები, რომლებიც 35 წელია, ქვეყანას არყევენ და აჯანჯღარებენ და მეორე მხარეს - ქართველი ხალხი. ახლა საჭიროა მობილიზება, რათა ეს „ბალასტი" ერთხელ და სამუდამოდ გაიტანოს პოლიტიკურ სანაგვეზე ქართველმა ამომრჩეველმა.

**ნუცა ლომაძე კონსერვატიული პორტალის „საქართველო უპირველეს ყოვლისა" წევრი:** ვიცოდი, რომ შეიწყალებდა, მაგრამ შეწყალების ფორმაც ხომ არსებობს! ზურაბიშვილმა ეს კრიმინალი ისე გამოიყვანა ციხიდან, როგორც უდანაშაულო. არ მოუცია განმარტება, რატომ შეიწყალა გვარამია, რატომ შეიწყალა მელია, რატომ შეიწყალა რურუა, რატომ შეიწყალა გიორგი ოთხმეზურის შვილის მკვლელი... ახლა კი ეს ბიჭი, რომელიც სასიკვდილოდ სწირავდა ადამიანებს. ხომ შეიძლებოდა, იქ ჩემი შვილი მდგარიყო, უბრალო მოქალაქე მდგარიყო... ან იმ პოლიციელს რას ერჩოდა, სამი შვილის მამას, რომელიც დღემდე მკურნალობს... აბა, იქითა მხარესაც ვკითხოთ! ამ ქალმა თავისი საქციელით საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს კიდევ ერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა. ეს არის დანაშულის პირდაპირი წახალისება. მომავალში შეიძლება ვიღაცამ იფიქროს, რომ მოდი, მეც ვისვრი „მოლოტოვის კოქტეილს", რა მოხდა მერე, ლაზარე ხომ გამოუშვეს! ეს არის მწვანე შუქი მთელი თაობისთვის დანაშაულის წასაქეზებლად - წავიდე, პოლიციელს მოლოტოვი ვესროლო, მერე უპრობლემოდ გამოვიდე ციხიდან „გმირის" სახელით, ეს არ არის ნორმალური! აქ მეორე საქართველოც არის და სწორედ ის ნაწილია აღშფოთებული, რომელმაც ამ ქალს ხმა მისცა. ჩვენს წინაშეა ვალდებული, მე მივეცი მაგას საქართველოს პრეზიდენტის მანდატი! მას კი, მავნებლობის გარდა, არაფერი გაუკეთებია. მისი თითოეული ნაბიჯი ანტისახელმწიფოებრივია და უცხოური აგენტების მითითებებს ემსახურება.

# „არა, სხვისი მისაბაძი რა მჭირს, – თვარა, – კი!...“

4 გვ.

თუ ქალი წყლიდან ცოცხალი გამოვიდოდა, დადასტურებული ალქაჯი იყო და კლავდნენ, ხოლო თუ ვერ გამოვიდოდა, მაშასადამე, უდანაშაულო იყო და სამოთხეში მოხვდებოდა... ათასობით ქალი გადააგდეს კლდიდან ან ღრმა ორმოებში ჩაყარეს არსებებმა, რომლებიც მათზე მაღლა მდგომებად მიიჩნევდნენ საკუთარ თავს...

აკი ვთქვი, მკვლელი მოკვდავები ვართ ადამიანები, მაგრამ როდესაც ჰუმანურობაზეა საუბარი, შენ კი ამ დროს მკვლელობას ახალისებ და ტაშს უკრავ მთელი შენი ერისა თუ სახელმწიფოებრიობის არსებობის განმავლობაში, უფლება არ გაქვს, რომ მართლაც ჰუმანურ ერსა და სახელმწიფო საქართველოს, იმ ფასეულობების სწავლება დაუწყო, რაც დასაბამიდან გენეტიკურად მას მოსდევს და არა შენ!

„არა! სხვისი მისაბაძი რა მჭირს, — თვარა, — კი!...“ რაში მივბაძო, სიგლახეში?

### ბრიუსელი, ბრიუსელი!

ისტორიისთვის ასი წელი არაფერია, ზოგი ადამიანი მეტსაც ცოცხლობს. ამდენად, როდესაც ჰუმანურობაზეა საუბარი, XIX საუკუნის მიწურულს რაც ხდებოდა ცივილიზაციის ეგიდით, XXI საუკუნის დასაწყისისთვის თითქოს სულ ახლახან იყო...

1884 წელს ბერლინში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც ევროპული ქვეყნები კოლონიების გაფართოების გეგმებს ადგენდნენ. კონფერენციაზე ბელგიის მეფე ლეოპოლდ II-მ დააფუძნა „კონგოს საზოგადოება“, სადაც ცნობილი მკვლევრები მიიწვია და კონგოს სახელმწიფო „კონგოს საზოგადოებას“ კერძო საკუთრებაში განუსაზღვრელი უფლებებით გადაეცა. კონგოთი დაინტერესების საფუძველი კაუჩუკისა და სპილოს ძვლის ექსპორტი იყო. მთელი კონგო შრომით ბანაკად იქცა. რადგან იმ დროს ევროპაში ძალზე გაზრდილი იყო და კიდევ უფრო იზრდებოდა კაუჩუკზე მოთხოვნილება, მთელი კონგო, პატარა ბავშვების ჩათვლით, პლანტაციებში მუშაობდა.

ევროპელ ოკუპანტს დაწესებული ჰქონდა 16-საათიანი სამუშაო დღე და გეგმა. იმისათვის, რომ კონგოელებში შიში გამეფებულიყო, მას, ვინც გეგმასა ვერ შეასრულებდა, ხელის მტევანს აჭრიდნენ, სხვა „გადაცდომაზე“ კი საჯაროდ აწამებდნენ. არ ინდობდნენ პატარებსაც, მშობლების თვალწინ კვეთდნენ ხელის მტევანს...

წამება, ხოცვა-ჟლეტა, ბავშვებისთვის ხელის მოკვეთა ევროკავშირის დღევანდელი დედაქალაქის, ბრიუსელის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო აფრიკის კონტინენტზე. **ევროპის ინტერესებს დაახლოებით 10 მლნ ადამიანი შეეწირა, მაგრამ დღემდე არ ულიარებია ევროკავშირს ოფიციალურად ევროპელების ველური და არაადამიანური საქციელი აფრიკის კონტინენტზე, არც რეპარაციების ვალდებულება აუღია.** რომელ აღიარებაზეა საუბარი, როდესაც ბელგიის ლამის ყველა ქალაქში ლეოპოლდ II-ის ძეგლია აღმართული, მათ შორის, ევროკავშირის ცენტრ ბრიუსელშიც!

და ეს არაკაცი და არაადამიანი „ევროპული სტანდარტებით“ გმირად არის აღიარებული...

ბელგიის ქალაქ არლონში ლეოპოლდ II-ის ძეგლზე წარწერაა; „მე კონგოში მუშაობა დავიწყე ცივილიზაციისა და ბელგიის ინტერესების გამო“ (ფაშიზმისგან მსოფლიოს მხსნელი სტალინის ძეგლი რატომღაც სამარცხვინოდ ითვლება გორში).

### გოგონა და სვავი

1993 წელს ფოტოგრაფი კევინ კარტერი სუდანის ერთ-ერთ პატარა სოფელში იქაურთა უმძიმესი ყოფის აღსაბეჭდად ჩავიდა. შიმშილით დახოცილი ადამიანების გადაღებით დაქანცულმა, ასევე დამშეული პატარა გოგონა შენიშნა, რომელიც ჩუმად ტიროდა. ამ დროს მის სიახლოვეს მტაცებელი ფრინველი დაეშვა. კევინმა ფრთხილად შეარჩია მოხერხებული პოზიცია და ფოტო გადაუღო. მის შემდეგ კიდევ 20 წუთი ელოდა, ფრინველის გაფრენას, მაგრამ ის არ იძვროდა. კევინმა ფრინველი გააგდო, ბავშვმა კი ძალა მოიკრიბა და გალასლასდა.

მეორე დღეს კევინი იოჰანესბურგში დაბრუნდა. „ნიუ-იორკ თაიმსმა“ სიხარულით შეიძინა მისი გადაღებული ფოტო და 1993 წლის მაისში გამოაქვეყნა. ერთი წელი დიდების მწვერვალზე იყო ფოტოგრაფი, პულიცერის პრემია მიანიჭეს და არაერთმა ცნობილმა ჟურნალმა შესთავაზა თანამშრომლობა.

ჯერ ჩუმად, შემდეგ კი ხმამაღლა, ისევ ხალხმა ამოიღო ხმა: რა მოუვიდა გოგონას? რატომ არ დაეხმარა კარტერი?

გაზეთები ხალხზე მუშაობენ, ამდენად, აჰყვნენ ხალხს და ხოტბა ბრალდებად გადააქციეს: „ადამიანი, რომელიც აუღელვებლად მოიმარჯვებს ობიექტივს პატარა გოგონას ტანჯვის გადასაღებად, იგივე მტაცებელი ფრინველია, რომელიც ფოტოზეა გადაღებული“, — წერდა ჟურნალი „თაიმი“ (ფლორიდა).

მალევე, გოგონას გამო სინანულში ჩავარდნილმა კევინ კარტერმა მდინარესთან მიაყენა მანქანა, ნამწვის გამონაბოლქვის




მილი სალონს შეუერთა, ჩართო მუსიკა, მანქანა დაქოქა და დაიძინა...

აღსანიშნავია, რომ სუდანში, სადაც ეს ფოტოა გადაღებული, მახლობლად იყო გაერო-ს ბანაკი, სადაც დამშეულებს ეხმარებოდნენ, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რა დახმარებაც არის ამგვარი კეთილშობილება...

კევინი სინანულმა შეიპყრო, ადამიანობამ გაიღვიძა მასში, მაგრამ გამომცემლებსა და პრემიის მიმნიჭებლებს რომ სრულებით არ მოსვლიათ აზრად სინანული და მხოლოდ სარგებელს ხედავდნენ ფოტოგრაფის ქების და გაკიცხვის დროსაც?

საქმე ის გახლავთ, რომ კევინ კარტერი კოლონიური სახელმწიფოს ღირსეული შვილი იყო, რომლისთვისაც მხოლოდ მოვალეობრივი თანაგრძნობა და მოვალეობრივი დახმარება არსებობს, ამიტომაც გააგდო ფრინველი... და რატომ გააგდო, დაუძლურებული ბავშვის დაძიძგვნას (შეჭმას) აპირებდა და ეს გაცნობირებული ჰქონდა, ხომ? და ფრინველის გაქშევით დამთავრდა გულგრილობის დამღით დაშტამპული ადამიანური მოვალეობა, გაერო-ს ბანაკამდეც კი არ მიიყვანა...

კაცობრიობის სირცხვილია არაადამიანების ცივილიზაცია!

იცით, რომ დაიანგარიშეს, რა რაოდენობის თანხაა საჭირო მთელი დედამიწის გაჭირვებულების საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით დასაკმაყოფილებლად?

8 ტრილიონი დოლარი, მაგრამ ამ საჭიროებისთვის ეს თანხა რატომღაც არავის აქვს!

აბა, ვნახოთ, რამდენი ფული აქვთ გამოყოფილი ქვეყნებს შეიარაღებისათვის და ახალი საბრძოლო ტექნიკის შესაქმნელად?

აშშ — 6 ტრილიონი დოლარი; რუსეთი — 3 ტრილიონი დოლარი; ევროპა და დანარჩენი ქვეყნები — 2 ტრილიონი დოლარი.

რამდენი ფულია ბიზნესში?

ამის დათვლა შეუძლებელია, მაგრამ უკანასკნელი მონაცემებით, რამდენიმე ათასი ტრილიონი ტრიალებს მსოფლიო სავაჭრო ბირჟაზე;

რა ქონებას ფლობს ბიზნესმენთა 3%, კაციშვილმა არ იცის და ეს ზუსტად ის 3%-ია, რომელიც დედამიწის მმართველი ე. წ. ბიზნესელიტაა და სრულებით არ ადარდებთ „უბრალო“ მოკვდავთა ყოფაც და არსებობაც!

რამდენი ფული აქვთ „სულიერების მამებს“?

კათოლიკეებს — 3 ტრილიონი დოლარი; ორთოდოქსებს — 2 ტრილიონ 800 მილიარდი დოლარი; ყველა სხვა რელიგიას ერთად — 4 ტრილიონი დოლარი;

მარადონამ ავტობიოგრაფიულ წიგნში „მე ვარ დიეგო“ დაადასტურა, რომ რომის პაპთან ნამდვილად მოუვიდა კონფლიქტი: „დიახ, მე ვეჩხუბე რომის პაპს იმიტომ, რომ ვატიკანში საკუთარი თვალით ვნახე ოქროს ჭერი და იმ დღეს მოვისმინე სიტყვები, რომ ეკლესიამ უნდა იზრუნოს ღარიბ ბავშვებზე. თუ მართლა ღარიბებზე ფიქრობ და არა ოქროზე, მაშინ გაყიდე ეს ჭერი და მართლა რამე გააკეთე ღარიბებისთვის!

რომის პაპმა ვატიკანში მხოლოდ იმიტომ მიმიწვია, რომ მე ცნობილი ადამიანი ვარ. დიდი იმედგაცრუება იყო...“

(გაგრძელება იქნება)

# კანონი ტანით თუ არ იგრძენი, რაა მამული...

ძალიან მინდა, სერიოზულად მიმოვიხილო ამბები „ალა ლუშულ კანონს!“ ირგვლივ, მაგრამ რანაირად მოვახერხო, როდესაც აგერ, თეა დარჩია ისეთი სექსუალური ხმითა და ინტონაციით ამბობდა, არ წამიკითხავს კანონი, მაგრამ ტანით ვგრძნობ, რომ რუსულიაო, ვიფიქრე, მგონი, მეც შემიძლია-მეთქი ტანით წაკითხულის შინაარსის აღქმა და ექსპერმენტს მივყავ გაბრიყვებულმა ხელი.

კარგად რომ შემეგრძნო წაკითხულის შინაარსი, არ დავიზარე, სანახევროდ გავშიშვლდი, ხან მაკულატურაში ჩავწექი და ვიშრაშუნე, ხან ირაკლი კობახიძისა და მამუკა მდინარაძის დანახვაზე ხმაჩაწეული ტელევიზორის ეკრანს ვუგლასუნე საფეთქლები და ნათხემი, მაგრამ ვერც ჩემმა ტანმა და ვერც თავმა ვერაფრით წაიკითხა ვერაფერი, მხოლოდ ამაოდ ამოვიგანგლე მტვერში.

რა ვიცი, იქნებ იმიტომ, რომ მთლად უნდა გავშიშვლებულიყავი, მე კი ნახევრადშიშველი ვიყავი? დავაზუსტებ ამ ამბავს და ხელმეორედ დავიწყებ ნაბეჭდი პროდუქციის ტანით შეცნობის ხელოვნების დაუფლებას. რითი ვარ ამათზე ნაკლები?

გამოდიან ცნობილ-ცნობადი პირები ზოგი პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან, ზოგი სცენიდან, ზოგი უნიტაზიდან და ამაყად აცხადებენ, არ წამიკითხავს კანონპროექტი გამჭვირვალობის შესახებ, მაგრამ რადგან რუსულია, არ მაინტერესებსო.

2017 წლიდან სანკტ-პეტერბურგის მიხაილოვის თეატრის საოპერო-სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა ბურჭულაძეც რომ იმას იტყვის, კანონს არ წავიკითხავ, ყველაფერი რუსულიაო, რეებიც მან იკადრა, იმის შემდეგ ეს აღარ გაგიკვირდება, მაგრამ მის ნაცვლად კი შეგრცხვება...

დოიაშვილი რომ სცენიდან „ალა ლუშულ კანონს!“-ო ააბღავლებს თავის მსახიობებს და ერთმანეთს ტაშს უკრავენ, კი უნდა გაახსენო თითოულ მათგანს, რომ იმ ხელებს, რომლებიც ერთმანეთს გამეტებით სცემენ სხვის საამბლად, ასეთივე წარმატებით შეუძლიათ მათ ყბებზე შემოტყლაშუნებაც...

ბიჯო, რა ტანი აქვთ ასეთი, ან სხეულის რა მონაკვეთს უწოდებენ ტანს, ეს მაინც გაგვანდონ! ბოლო-ბოლო, ის მაინც გაგვაგებინონ, რომელი ტანი აქვთ კანონების ზეშეცნობადი: ზედა ტანი, ქვედა ტანი, უკანა ტანი თუ ხილბოსტანი?

ოჰ, შენ რა გითხარი, დიდო რეჟისორო მეგიზი ქარდავა, რა გადაუღე ამ უდღეურ ტანით მგრძნობიარეებს ასეთი მოურჩენელი!

იმ ოლეი, ოლეი, იუბულა-ბუ ქათამაძემ მთლად დამცა, ემიგრანტმა ოცი წელი დანაზოგი რომ აგროვა აშშ-ში, აქ რომ ჩამოვა უკანონო ფული აღმოჩნდება მისი წვითა და დაგვით ნაგროვებიო. ქათამაძეს, ეჭვი გამიჩნდა, რომ არანაირი ტანი არ უვარგა, მთლად აურია. შვილო, ვინ და რამ შეგაძულა წაკითხვა, რას ურიკინებ და რას იჩლექ ენას, არ გეზარება მაინც? თქვი, რომ გაბურული მომღერალი ხარ და სხვა არაფერი იცი, გაგნებაში არ ხარ, მაგრამ აბა, როგორ იტყვის, ის ხომ შიგ ევროპელთაგანია პირდაპირ ბობოყვათიდან...

ესენი ერთმანეთს აგიჟებენ თუ თვითნაბადი იდიოტები არიან?! —... ალბათ, უფრო, მონური ფსიქოლოგიის უწიგნური იდიოტები... ახალგაზრდა მეზობელი მყავდა, ფიზიკოსი, ატომზე მუშაობდა. იმ დროში ყველაზე წარმატებული ახალგაზრდა მეცნიერი იყო ამ მიმართულებით, მაგრამ რად გინდა, ფიზიკის მიღმა სრული იდიოტი იყო...

არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედიამ, რომელთა 20%-ზე მეტი დაფინანსება უცხო ქვეყნიდან მოედინება, ყველაფერი უნდა გახადონ გამჭვირვალე და დაიდოს დამფინანსებლის როგორც დასახელება, ისე მიზნები, რის გამოც ამ თანხას გასცემს კონკრეტული

ორგანიზაციისთვის — რა არის აქ საგანგაშო, დასამალი და საწიოკო?

კი, მაშინვე მივალთ შვედეთამდე, ნორვეგიამდე, ჰოლანდიის თავისუფალი დაფინანსების ფონდებთან და ა. შ. ბევრად მსხვილ-მსხვილ თევზებთან, მაგრამ რა გამოაშკარავდება ისეთი, რაც არ ვიცით?

ლგბტ და მათი სექსუალური გადახრების პროპაგანდა-რეკლამირების დაფინანსებისა ვიცით; ანტიქართული ყველა მიმართულებისა — ვიცით; შავი ფულის გათეთრებისა — ვიცით, რევოლუციური სცენარებისა — ვიცით...

„ღმერთო ჩემო! სულ ვუსმენ, და ვერაფერი გავიგე, რა უნდა და რატომ კამათობენ?! რუსულს მე აქ ვერაფერს ვხედავ და ვიფხანთ რაღაცებს და მახათებს ვიყრით“, — „გამჭვირვალობის კანონზე“ თქვა ზურა ყიფშიძემ.

საქმე ის გახლავთ, რომ ვინც რუსულ კანონად ვერ/არ აღიქვამს, ის არ იფხანს და არც მახათს იყრის, პირიქით, მოხარული იქნება, თუ მართლაც გამჭვირვალე გახდება აქამდე წლობით დაფარული საიდუმლოებით მოცული დაფინანსების წყაროები და მიზნობრიობა. ყველა სამსახური აწარმოებს ყოველთვიურ ხარჯთაღრიცხვას და საგადასახადო უწყებაში წარადგენს დოკუმენტაციას, ამათ წელიწადში ერთხელ რომ წარადგინონ, ამას რად უნდა წივილი, „რუსული“ ან „ბანგლადეშური“ კანონიაო?

ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლება იყო, როდესაც ერთმა ყველასათვის ცნობილმა პიროვნებამ, თანამდებობის პირმა ძალოვანი სტრუქტურიდან, მირჩია, არასამთავრობო ორგანიზაცია გააკეთე და რაღაც მჭახე სახელი დარქვიო. რად მინდა-მეთქი? გრანტებს მოიზიდავ, დაფინანსება გექნება და იგულავებო. მაგის თავი მაქვს-მეთქი?

თურმე თავი სულაც არ არის საჭირო, პირიქით, თავი ხელს შეგიშლის, მთავარია, ყველაფრის საკადრებლად პირი ადგილზე და საქიცინ-სახვანხვალოდ ტრ***კი გქონდეს მომზადებული...

ყველაზე მეტად ის მხიბლავს, ვერავინ რომ ვერ პასუხობს კითხვას, რატომ არის ეს კანონი რუსული. ამ ჩვენის ღობეგადანგრეულებიდან ერთმა მაინც წაიკითხოს და დანარჩენებს მოუყვეს, რა წერია მასში-მეთქი, ვიტყოდი, მაგრამ ეგ არ შეიძლება!

ვისაც კითხვა უყვარს ან ეხერხება და გადასარევად აზროვნებს ფხიზელიც და განგრეულ კაიფშიც, უკვე ალილუიასავით ზეპირად იცის, რაც წერია მასში და გადასარევად იცის, რომ არანაირი „რუსული კანონი“ არ არის, მაგრამ რაც არის, ის არის მიუღებელი და რა დაარქვას? ჰოდა, დაარქვა დიდმა მავანმა „რუსული კანონი“ და ზოგი დირიჟორის ჯოხის აქნევაზე, ზოგი უწიგნური კი ფეხისხმასაყოლილი ხბოს აღტკინებით ბღავის „ალა ლუშულ კანონს!“ აი, თქვენ კი დაგათხლიშეთ მაგ გამოქვათაყურებულ თავებზე შენაცვლებული მათლაფებით „ოკროშკა“ და „რასოლნიკი“!

მომღერალმა და იუმორისტმა დავით ნემსაძემ (ქუჩუკიჩი) სოციალურ ქსელში დაწერა, სექსმუშაკები არ მალავენ თავიანთი შემოსავლის წყაროს და ეს ენჯეოები რას აკეთებთ უფრო სამარცხვინოს, ასე რომ გეშინიათ გამჭვირვალობისო?

ქუჩუკიჩ, სექსმუშაკები საკუთარ სხეულს ანათხოვრებენ მცირე ხნით და ამაში იღებენ გასამრჯელოს, ეგ ნჯოები კი საკუთარ სამშობლოს გაბმით ყიდიან მისხალ-მისხალ და რადგან იციან, სამშობლოს ღალატი რასაც იმსახურებს. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი მუხლი არ გვაქვს, მაინც აშინებთ ვირტუალური განაჩენი, რომელიც ნორმალურ ქვეყანაში ასე ითქმებოდა ორი სიტყვით: მიესაჯოს სიკვდილი!

**„სამშობლო, დედის ძუძუი,**
**არ გაიცვლების სხვაზედა,**
**ორივ ტკბილია, ძმობილო,**
**მირჩევნის ორსავ თვალზედა,**
**როგორც უფალი, სამშობლოც**
**ერთია ქვეყანაზედა...**
**არ გავცვლი სალსა**
**კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,**
**არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს**
**სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..“**

ამ უსამშობლოებს სამშობლო არ აქვთ, სიტყვაც კი ამოიღეს მეტყველებიდან და „ქვეყნით“ ჩაანაცვლეს, მაგრამ ოდესღაც ხომ ჰქონდათ და ზოგ მათგანს „სამშობლო ხევსურისაც“ ემახსოვრება, ამიტომ სამშობლოს ღალატი და საკუთარი ერის გაყიდვა მაინც ხინჯად აქვთ ქვეცნობიერში და არ უნდათ ქართული ფურთხით საფურთხებლად მთლად შარაზე დაგდება სამშობლოს მოღალატის სახელით...

აკადემიურ ლიტერატურაში „თვითკოლონიზაცია“ ჰქვია იმ ცნობიერებას, როდესაც მუდმივ სირცხვილს განიცდი საკუთარი ქვეყნის გამო და სხვა ქვეყნის წარმომადგენელი ყოველთვის მართლად მიგაჩნია — აქამდე გამოალაყეს მოზარდები, თვითკოლონიზაცია ისე აჰკიდეს „სუფთა დაფაზე“, რომ სამუდამოდ დაუმახინჯეს ცნობიერება...

ოლაფ შოლცის სიტყვები პირდაპირ ეთერში გააყალბა ოპოზიციონერმა თარჯიმანმა (ის როგორღა მოხვდა თარჯიმნად იქ და იმ დროს?!) ზაალ ანდრონიკაშვილმა, კანცლერისა, სხვათა სიტყვებსა და დოკუმენტებს ვერ გააყალბებენ?

მინდა დავარიგო ეს გზააბნეული „ალა ლუშულ კანონს“ ბრიგადა: უკანალში ყოფნისას მხოლოდ ორი რამ შეგიძლიათ: პირველი — გაიგოთ, რატომ ხართ მანდ და მეორე — გამოხვიდეთ მანდედან. ნუ ხართ მუდმივად დაბნეულები! ეს ორი რამ არანაირად არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რადგან მაგ მიშას უკანალიდან გამოსვლა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე იმის გაგება, რატომ ხართ მანდ.

რატომ?

იმიტომ, რომ მხოლოდ ერთხელ უნდა გამოხვიდე მანდედან და ამის შემდეგ შეგიძლია დაივიწყო, მაგრამ იმის გასაგებად, რატომ ხარ მანდ, მთელი ის ცხოვრება გჭირდება, რომელსაც მანდ გაატარებ!

ვიქტორ პელევინს დაუჯერეთ, მამაჩემის ცხონებამ!

ზურაბ გირჩი ჯაფარიძის ძმამ (კაპიტანი ნემოსი არ იყოს, მისი სახელია „არავინ“, თუ რატომ არ სახელდება, არ ვიცი) მთლად ლაკონიიდან ჩამოგვიარა: „შინაარსში არ უნდა შევიდეთ, ეს არის რუსული კანონი!“ — თქვა და ციცინათელასავით ბუჩქებში მიიმალა თუ სასაზღვრო ზოლისკენ შარვლის ჩასახდელად გასიევების უბნის მიმდებარედ გაეშურა, ვერ დავადგინე.

ამ რომელიღაც ტანიდან მეტყველგაგდებულებს მაშინ რატომ არ ახსენდებოდათ და მაშინ რატომ არ ყვიროდნენ „ალა ლუშულ ხელისუფლებასო“, როცა მათი ბელადი რუსეთის უშიშროების გენერლის მითითებებით მოქმედებდა?

აგვისტოს ომიდან მალევე მოსკოვში საცეკვაოდ რომ იქაჩებოდნენ, გრიგოლ ვაშაძიდან დაწყებული, მთელი ნაცბანდა, მაშინ არ იყო ლუშეთი ოკუპანტი?

ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე მათი ბელადი ყვავილებით რომ ხვდებოდა რუს ტურისტებს პირმცინარი და ტელეკამერების წინ ეხვეწებოდა, გვესტუმრეთო, მაშინ ლუშები ოკუპანტები არ იყვნენ?

სტრატეგიულ ობიექტებს რომ რუსეთს ატენიდა საკაშვილი, შადაული კანონი იყო, ლუშის ნაკარნახევი თუ ქალთული?

„კგბ-ს“ ეფრეიტორმა საკაშვილმა ცალმხრივად რომ გააუქმა რუსეთთან უვიზო მიმოსვლა, მაშინ ლუშეთი ოკუპანტად ვის გახსენებია?

ახლა ამ ექსტრემისტულ „დროა“-ს რუსეთი რომ აფინანსებს, არალუშული კანონით, როგორაა ეგ საქმე?

ბოლო-ბოლო, პრიმაკოვ-კოჟოკინთან ვინ დარბოდა ლუშეთში და ლუში ივანოვი ვის გამო ჩამოვიდა?..

ამ მიშას კოლინჯში ჩარჩენილები, თავიანთი მიშას დროს ასე რომ ახირებოდნენ „ადგილის მამას“, წამიერად მაინც არ უფიქრიათ შაყის კვრის რა სიდიადე ექნებოდათ ტანით შეგრძნებული? ახლა დადასტურებულად იციან, რომ არავინ გადაამტვრევთ არც ხერხემალში და არც საინფორმაციო ღრუს ამოუვსებენ რაიმეთი და ლაღად არიან — არ ვიცოდი, შესაძლებელი თუ იყო ერთდროულად უნამუსობაც, უსირცხვილობაც და დაუნახავი ღორობაც...

ეჭვი აღარაფრის მაქვს, ყველაფერი დადასტურებულად გვიდევს თვალწინ, მხოლოდ ისღა მაინტერესებს, რის გამო არის ამოქოქილი მაქსიმალური ძალით ყველა ნჯო და მათი პატრონების ძალისხმევა, რა უფრო აწუხებთ დიდ-დიდ ღლავებს, შავი ფულის გათეთრება რომ გაუსკდეთ დღე-დღეზე, თუ სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობების ამბავი? აბა, პედერასტების დაფინანსებაზე ვენებს ვინ გადაიჭრის...

„ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც სამშობლო ჰქვია, ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს...

მასუნთქეთ ჩემი სამშობლოს სურნელი! ხურდა არ მინდა... სიცოცხლეს ვიხდი...“

**ზურა ოშხერელი**

# თეთრი სახლი ახლო აღმოსავლეთში ესკალაციის შეჩერების მომხრეა

სირიის დედაქალაქ დამასკოში ირანის საელჩოზე ისრაელის არმიის შეტევიდან ორ კვირაზე მეტი გავიდა. მომხდარის შემდეგ ირანის ხელისუფლება, მათ შორის, აიათოლა, აცხადებდნენ, რომ ინციდენტს უპასუხოდ არ დატოვებდნენ. ამერიკის შეერთებულ სტატებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ირანი ისრაელზე შეტევის პარალელურად, ასევე, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებულ აშშ-ის სამხედრო ბაზებზეც აპირებდა თავდასხმას.

რეგიონში ფართომასშტაბიანი ომის დაწყების საფრთხე თითქმის ყოველდღიურად იზრდებოდა. ირანმა ყველა სახეობის ჯარების მობილიზება და მზადყოფნაში მოყვანა დაიწყო. სამხედრო ექსპერტების განცხადებით, ირანს შორ მანძილზე მოქმედების სარაკეტო დანადგარები გააჩნია, რომლებითაც შეუძლიათ, მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენონ ისრაელსაც და რეგიონში არსებულ აშშ-ის სამხედრო ბაზებსაც. სამხედრო ექსპერტები, ასევე, ვარაუდობდნენ, რომ ირანი ისრაელზე შეტევისთვის სათანადოდ მოემზადებოდა და სამხედრო ოპერაციას სპონტანურად არ განახორციელებდა.

ახლო აღმოსავლეთში დიდი ომის დაწყებას პოლიტოლოგების უმრავლესობა გარდაუვლად მიიჩნევდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ირანმა სხვადასხვა არაბული ქვეყნების მეშვეობით გააფრთხილა აშშ, თუ ირან-ისრაელის კონფლიქტში ჩაერეოდნენ, მათ სამხედრო ბაზებზეც განახორციელებდნენ შეტევებს. ამიტომაც სთხოვა თეთრი სახლის ადმინისტრაციამ, სამხედრო ბაზებზე არ განეხორციელებინათ შეტევა. „ეს არ გააკეთოთ!“ - მოუწოდა აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა ირანელებს. გაუგებარი რჩებოდა, რას მიიჩნევდა ირანი აშშ-ის მხრიდან კონფლიქტში ჩარევად, უშუალოდ ბრძოლებში მონაწილეობას თუ რაკეტების განეიტრალებასაც. შექმნილი რთული ვითარებიდან გამომდინარე, პენტაგონმა რეგიონში ჯარების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზარდა, იქ სამხედრო მოსამსახურეების დამატებითი კონტინგენტი გადაისროლა.

აშშ-ის პრესა იუწყებოდა, რომ სირიაში ირანის საელჩოზე განხორციელებული შეტევის გამო ჯო ბაიდენი უკმაყოფილებას ვერ მალავდა, მას გაუმართლებლად მიაჩნია ისრაელის მოქმედება, თუმცა აღნიშნა, რომ აშშ დახმარებას არ შეუწყვეტდა და კვლავ განაგრძობდა მათთვის სამხედრო ტექნიკის მიწოდებას.

გასულ კვირას ლიბანის შეიარაღებულმა დაჯგუფება „ჰეზბოლამ“ სარაკეტო დარტყმები განახორციელა ისრაელის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქებზე. ისრაელის ოფიციალური პირების ინფორმაციით, „ჰეზბოლამ“ 40-ზე მეტი რაკეტა ესროლა ქალაქებს. შეტევას მსხვერპლი და ზარალი არ მოჰყოლია, რადგან ისრაელის საჰაერო დაცვის სისტემამ ჭურვების ჰაერშივე განეიტრალება შეძლო. თავდასხმას არც მოსახლეობაში გამოუწვევია პანიკა.

მსოფლიო საზოგადოებას აინტერესებდა კონკრეტული თარიღი, როდის განახორციელებდა ირანი ისრაელზე შეტევას. შაბათს, გვიან ღამით, ორკვირიანი დუმილის შემდეგ ირანმა, ისტორიაში პირველად, ისრაელის სახელმწიფოზე საჰაერო შეტევა განახორციელა. თავდაპირველად ირანის საჰაერო ძალებმა მძიმე უპილოტო საფრენი აპარატებით შეუტიეს, მოგვიანებით კი — ფრთოსანი და ბალისტიკური რაკეტებით. შაბათს ისრაელის საჰაერო დაცვის სისტემა გადატვირთულ რეჟიმში მუშაობდა. ისრაელის შეიარაღებული ძალების ინფორმაციით, მათ უპილოტო საფრენი აპარატებისა და რაკეტების 99% გაანეიტრალეს.

თავდაპირველად ირანელთა იერიში იორდანიაში მოიგერიეს. იქაური საჰაერო თავდაცვის სისტემამ უპილოტო საფრენი აპარატები და რაკეტები გაანეიტრალა. იორდანიის ხელისუფლების განცხადებით, ისინი არ დაუშვებენ, რომ იორდანიის საჰაერო სივრცე ირანმა ისრაელზე შეტევისთვის გამოიყენოს. ამის შემდეგ საქმეში ახლო აღმოსავლეთში არსებულ ბაზებზე განთავსებული აშშ-ისა და ბრიტანეთის ავიაცია ჩაერთო. სწორედ მათი უშუალო მხარდაჭერით შეძლო ისრაელმა საჰაერო შეტევის მოგერიება, თორემ ზარალი გაცილებით მეტი იქნებოდა, რადგან საჰაერო დაცვის სისტემა გადატვირთული იყო.

შემთხვევითი დამთხვევა იყო თუ მოსალოდნელ შეტევაზე ინფორმაცია ჰქონდა ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბენიამინ ნეთანიაჰუს, ძნელი სათქმელია, მაგრამ მან რამდენიმე წუთით ადრე გააფრთხილა მოსახლეობა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. თუმცა, ოპტიმისტურად იყო განწყობილი და თანამოქალაქეებს მათი უსაფრთხოების დაცვას დაპირდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ირანის ხელისუფლებამ შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით შეტევამდე ორი დღით ადრე მიაწოდა ინფორმაცია აშშ-ს, რომელ ობიექტებზე იგეგმებოდა თავდასხმა. სავარაუდოდ, სამხედრო ოპერაციის დაწყების დრო და თარიღი თეთრი სახლის ადმინისტრაციას აცნობეს, რითიც ნეთანიაჰუმ ისარგებლა.

ირანის შეტევის დაწყებისთანავე, ჯო ბაიდენმა დასვენების დღით აღარ ისარგებლა, სასწრაფოდ დაურეკა და 25 წუთი ესაუბრა ნეთანიაჰუს. საუბრის თემებზე მწირი ინფორმაცია გავრცელდა. ცნობილია, რომ ბაიდენმა მოუწოდა ნეთანიაჰუს, საპასუხო დარტყმისგან თავი შეიკავოს. ასევე, გააფრთხილა, რომ თუ ისრაელი განახორციელებს ირანზე შეტევებს, აშშ არ ჩაერევა და არც მონაწილეობას მიიღებს. ანალიტიკოსების შეფასებით, თეთრი სახლის ადმინისტრაცია შეეცდება ახლო აღმოსავლეთში ესკალაციის შეჩერებას, მაგრამ გაუჭირდება, რადგან არც ამის ძალა შესწევს.

საინტერესოა, რომ ორივე ქვეყანა — ირანი და ისრაელი საკუთარ წარმატებებზე საუბრობს. ისრაელი საჰაერო შეტევების მოგერიებით ამაყობს. მათ წარმატებად მიაჩნიათ, რომ ირანის რაკეტებმა თელ-ავივამდე ვერ მიაღწიეს. თეირანში სახელმწიფო ტელევიზია პირდაპირ ეთერში უჩვენებდა რაკეტების გაშვების პროცესს, ხალხი ზეიმობდა და ამაყობდა, რადგან ირანი არავის და არაფერს არ შეუშინდა და ღირსეულად უპასუხა ისრაელის შეტევას.

სამხედრო ექსპერტ-ანალიტიკოსები მომხდარს დეტალურად მოგვიანებით შეაფასებენ, თუმცა, მათმა ნწაილმა უკვე გამოთქვა საკუთარი მოსაზრება. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ირანმა გასულ შაბათს ისრაელზე ფართომასშთაბიანი შეტევა კი არ განახორციელა, საჰაერო დარტყმაზე დარტყმითვე უპასუხაო, ამბობენ. თუმცა, მიაჩნიათ, რომ კონფლიქტის დასრულებაზე საუბარი ნაადრევია. ირანელების შეტევას ანალიტიკოსებიც წარმატებულად მიიჩნევენ, თუნდაც იმიტომ, რომ არავის შეუშინდნენ, მსოფლიოს აჩვენეს, რომ ძალა შესწევთ, ნებისმიერ თავდამსხმელს გასცენ პასუხი. ექსპერტებს, ასევე, მიაჩნიათ, რომ ირანელებმა გააკეთეს, რაც ჩაფიქრებული ჰქონდათ — მოსინჯეს მოწინააღმდეგის რეალური შესაძლებლობა, დააინახეს მეზობელი ქვეყნების მათ მიმართ განწყობა-დამოკიდებულება.

კვირას ირანის შეიარაღებული ძალების ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა: „ჩვენ მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაცია დასრულებულია. თუ ვინმე გაბედავს ირანზე შეტევის განხორციელებას, ამაზე მკაცრად ვუპასუხებთ“. ირანის სულიერი ლიდერი აიათოლაც ოპერაციას დასრულებულად მიიჩნევს და აცხადებს: „განა ბაიდენს აწყობს და სურს წინასაარჩევნოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არეულობა? უნდა ირანთან ომი?“

გადაიზრდება თუ არა არსებული კონფლიქტი ფართომასშტაბიან ომში, ამის შესახებ ანალიტიკოსები ვერაფერს ამბობენ. ამჯერად დროებითი პაუზა ისრაელმა აიღო. ქვეყნის ხელისუფლების განცადებით, ინციდენტი ჯერ არ ამოწურულა და აპირებენ, ირანს სათანადოდ უპასუხონ. საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები ახლო აღმოსავლეთში, რადგან სიტუაცია ბუნდოვანია. ვითარებას ზოგიერი ქვეყნის პოზიცია ართულებს. საგანგებოდ შეკრებულ გაერო-ს უშიშროების საბჭოში დაგმეს ირანის მიერ ისრაელზე განხორციელებული შეტევა, მაგრამ სირიის დედაქალაქ დამასკოში ირანის საელჩოზე თავდასახმა, რომელიც პირველ აპრილს მოხდა, არავის დაუგმია. სწორედ დუმილის რეჟიმმა განაპირობა ირანის პროვოცირება.

კვლავ რთული ვითარებაა უკრაინაში, როგორც ბრძოლის ველზე, ასევე ფინანსური კუთხით. აშშ-ის კონგრესში ამ დღეებში იმსჯელებენ დახმარების ახალ პაკეტზე, მაგრამ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლების მოთხოვნით, უკრაინა დაფინანსებას მხოლოდ კრედიტის სახით მიიღებს. სავარაუდოდ, ისრაელი უპრობლემოდ, ცალკე პაკეტით მიიღებს დახმარებას. უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი მოკავშირეებს არწმუნებს, რომ დახმარების შემთხვევაში ახალ კონტრშეტევას შარშანდელზე ეფექტურად განახორციელებს.

მოკავშირე ქვეყნების ლიდერები ზელენსკის სთავაზობენ, დროულად განახორციელოს რეზერვისტების მობილიზება. ასეთ შემთხვევაში, კონგრესი უპრობლემოდ დაუმტკიცებს ფინანსურ დახმარებას. თავად ზელენსკი ჯერ დაფინანსებას ითხოვს, რათა იოლად შეძლოს მობილიზაციის განხორციელება.

ევროკავშირის ხელმძღვანელის, ურსულა ფონ დერ ლაიენთან დაკავშირებით, შესაძლოა, ახალი, მესამე სკანდალი აგორდეს. პირველი ორი სკანდალის (პირველად როდესაც დისერტაციაში 43% პლაგიატი დაუმტკიცეს, მეორედ თავდაცვის სამინისტროში მუშაობისას) ჩაფარცხვა გავლენების გამოყენებით შეძლო. ამჯერად ევროკავშირის პროკურატურა დაინტერესებულია „ფაიზერის“ ვაქცინის შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხით. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და ვნახოთ, შეძლებს თუ არა ამჯერადაც სკანდალის მიჩუმათებას.

**გია ბურდული**

# ევროპელ პოლიტიკოსთა დინასტიები

იენს სტოლტენბერგი

*„მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ ბელგიის პარლამენტის თითქმის ყველა დეპუტატის მშობლებს ადრე იგივე პოსტი ეკავათ, რაც მათ შთამომავლებს“, — წერს გამოცემა **Politico**. თუმცა, პოლიტიკური დინასტიები ევროპაში ფართოდ არის გავრცელებული.*

**ნილ გოიკინგი**. სულ ცოტა ხნის წინათ გერმანიის მარგინალური პარტიის „ევროპის სახალხო ფრაქციის“ წარმომადგენელმა ევროპარლამენტში ჰელმუტ გოიკინგმა პოსტი დატოვა. მისი ადგილი კი მისმა ვაჟმა — ნილს გოიკინგმა დაიკავა. მათ პოლიტიკურ მოძრაობას ასეც ჰქვია — „საოჯახო პარტია“.

ამასთან, გოიკინგებს არაფერი დაურღვევიათ: ნილი პარტიულ სიაში მომდევნო იყო და დაწინაურდა, როცა მის წინ მდგომმა (ამ შემთხვევაში, მამამ) თანამდებობა დატოვა

ასეთი მოდელი ხშირად გვხვდება ევროპაში (განსაკუთრებით, ბელგიაში).

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში პოლიტიკურ დინასტიათა წილი ბელგიის პარლამენტში იზრდება და XIX საუკუნის დონეს მიუახლოვდა, 12 %-ზე დაბლა კი არასოდეს ჩამოსულა.

მაგრამ მხოლოდ ბელგიაში როდი ხდება ასე...

**შარლ მიშელი**. ევროპის საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ევროკომისრისა და ევროპარლამენტის წევრის ლუი მიშელის ვაჟი, მიშელ-უმცროსი კარიერის დასაწყისში მამის ჩრდილიდან გამოსვლას ცდილობდა. მალე ის ბელგიის ყველაზე ახალგაზრდა პრემიერი გახდა, რის შემდეგაც ევროსაბჭოს ჩაუდგა სათავეში. მიშელს უმცროსი ძმა ჰყავს, მატიე, რომელსაც ბრიუსელში სახელმწიფო არქიტექტურული უწყების მდივნის პოსტი უკავია.

**კაია კალასი**. ესტონეთის პირველი პრემიერ-მინისტრი ქალი კაია კალასი ყოფილი პრემიერის, საგარეო საქმეთა მინისტრის სიიმ კალასის ქალიშვილია, რომელმაც ათ წელზე მეტ ხანს იმუშავა ევროკომისიაში, ბოლოს ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტისა და ტრანსპორტის კომისრის პოსტს იკავებდა, ამჟამად კი ესტონეთის პარლამენტის რიიგიკოგუს წევრია.

კაია კალასი იურისტი და ევროპარლამენტის ყოფილი წევრია. იგი ჯერ კიდევ უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე მოითხოვდა რუსეთისთვის სანქციების დაწესებას. მას აშკარად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ჩინეთის მიმართაც.

კაია კალასის დიდი ბაბუა ედუარდ ალვერ კალასი ცნობილი პოლიტიკოსი იყო, იგი ესტონეთის თავდაცვის მოხალისეთა საბჭოს ხელმძღვანელობდა და ესტონეთის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო.

**მარინ ლეპენი**. მარინ ლე პენი თავის უაღრესად მემარჯვენე მამის ჟან-მარი ლე პენის კვალს გაჰყვა და მის მიერ შექმნილ პარტიას „ნაციონალური ფრონტი“ (ამჟამად „ნაციონალური გაერთიანება“) ჩაუდგა სათავეში.

ალექსანდრ დე კროო

მარინ ლეპენი

მარინ ლე პენი ცდილობს, უარი თქვას თავისი პარტიის შხამიან მემკვიდრეობაზე და ცენტრისტული პარტიების კეთილგანწყობა მოიპოვოს, რის გამოც მას მამის ნაკლებად რადიკალურ ასლს უწოდებენ.

მარინ ლე პენის დის შვილმა, მარიონ მარეშალმა 2018 წელს გვარზე უარი თქვა. ამჟამად ის ევროპარლამენტის წევრის, პარტია „იტალიის ძმების“ წარმომადგენლის ვინჩენცო სოფოს მეუღლეა. ცოტა ხნის წინ მან განაცხადა, რომ მისი პარტია „რეკონკისტა“ ევროპელი კონსერვატორებისა და რეფორმისტების პარტიას შეუერთდება და მის ერთადერთ დეპუტატს ჩაჩოჩება მოუწევს.

**იენს სტოლტენბერგი**. ნატო-ს გენერალური მდივანი ათ წელზე მეტია, ამ პოსტზეა და როგორც იტყვიან, „პოლიტიკოსობა სისხლში აქვს გამჯდარი“. ის გამოჩენილი ნორვეგიელი დიპლომატის ტურვალდ სტოლტენბერგისა და სახელმწიფო მდივნის კარინ ჰეიბერგის შვილია.

კარინის და მარიანა გაერო-ს ახლო აღმოსავლეთის სააგენტოს განყოფილებას ხელმძღვანელობდა, რომელიც პალესტინელ დევნილებს ეხმარებოდა და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის იუხან იორგენ ხოლსტის მეუღლე იყო, რომელიც მონაწილეობას იღებდა სამშვიდობო პროცესში, ოსლოში მოლაპარაკებით რომ დასრულდა და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი პროცესის განმტკიცებისკენ იყო მიმართული.

ნატო-ში მუშაობის დაწყებამდე იენს სტოლტენბერგს ნორვეგიის მრეწველობისა და ფინანსთა მინისტრის პოსტი ეკავა, შემდეგ მინისტრთა კაბინეტს ჩაუდგა სათავეში და პრემიერი გახდა.

**კირიაკოს მიცოტაკისი**. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი კირიაკოს მიცოტაკისი, რომელიც ამ პოსტს 2019 წლიდან იკავებს, ცნობილი პოლიტიკური დინასტიის წარმომადგენელია.

მისი მამა კონსტანტინოს მიცოტაკისი 1990-იან წლებში პრემიერის პოსტს იკავებდა, ბაბუა — კირიაკოს მიცოტაკისიც ცნობილი პოლიტიკოსი იყო.

პოლიტიკა ამ ოჯახის საქმეა: პრემიერ-მინისტრის და დორა ბაკოიანისი საგარეო საქმეთა და კულტურის მინისტრის პოსტებს იკავებდა, მანამდე კი ათენის პირველი ქალი-მერი იყო. მისი ვაჟი კოსტასიც დედაქალაქის მერის თანამდებობას იკავებდა.

მიცოტაკისების დინასტიის გარდა, საბერძნეთში **პაპანდრეუს** პოლიტიკური დინასტია არის. გეორგიოს პაპანდრეუ (ყოფილი პრემიერ-მინისტრი), მისი ვაჟი ანდრეასი (ყოფილი პრემიერ-მინისტრი) და მისი შვილიშვილები გეორგიოსი (ყოფილი პრემიერ-მინისტრი) და ნიკოსი (ევროპარლამენტის დეპუტატი).

**ალექსანდრ დე კროო**. დავბრუნდეთ ბელგიაში. ისევე, როგორც შარლ მიშელის, პოლიტიკოსის გენები ბელგიის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის გენებშიც „არის ჩადებული“. მისი მამა, გერმან დე კროო გამოჩენილი მოღვაწე და განათლების, ტრანსპორტისა და საგარეო ვაჭრობის ყოფილი მინისტრია, რომელიც პოლიტიკაში 48 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა და 2019 წელს მიატოვა პოლიტიკური საქმიანობა.

ალექსანდრ დე კროო პოლიტიკაში 2009 წელს მოვიდა კერძო სექტორიდან და ყოველგვარი გამოცდილების გარეშე სათავეში ჩაუდგა პარტიას „ღია ფლამანრიელი ლიბერალები და დემოკრატები“. მოგვიანებით იგი მინისტრი გახდა და პასუხისმგებელი იყო განვითარებასა და ციფრულ დღის წესრიგზე (დე კროო დღემდე კურირებს ქვეყნის კიბერუსაფრთხოებას, ხელმძღვანელობდა ევროკავშირის მოლაპარაკებებს კიბერუსაფრთხოების საკითხებში ბელგიის თავმჯდომარეობის პერიოდში).

2020 წელს დე კროო პრემიერ-მინისტრი გახდა და სათავეში ჩაუდგა შვიდპარტიიან კოალიციას.

კაია კალასი

**მატეუშ მორავეცკი**. პოლონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მატეუშ მორავეცკის მამა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის „სამართალი და სამართლიანობა“ გამოჩენილი დისიდენტი და აქტივისტი იყო. კორნელ მორავეცკიმ დააარსა და სათავეში ედგა „მებრძოლ სოლიდარობას“, ანტიკომუნისტური მოძრაობა „სოლიდარობის“ რადიკალურ განაყოფს. მოგვიანებით ის პოლონეთის პარლამენტის ქვედა პალატის წევრად აირჩიეს.

თვითონ მატეუში ბანკის თავმჯდომარედ მუშაობდა, მოგვიანებით, 2015 წელს, ჯერ განვითარების, შემდეგ კი ფინანსებისა და სპორტის მინისტრი გახდა. პრემიერის თანამდებობა 2017 წელს დაიკავა, მაგრამ შარშანდელი არჩევნები დონალდ ტუსკთან წააგო.

**ვაცლავ კლაუსი-უმცროსი**. ჩეხეთის პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ვაცლავ კლაუსი-უმცროსი პოლიტიკიდან 2012 წელს წავიდა, მაგრამ გრძელი ნამსახურობის ნუსხა აქვს, რომელიც რამდენიმე ათწლეულს ითვლის.

როგორც მამამისი, ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი ქვეყანას ორი ვადით მართავდა.

ორივე მსგავს პოლიტიკას ახორციელებს, ორივე ნაციონალური კონსერვატიზმისა და ეკონომიკური ლიბერალიზმის გაერთიანების მომხრეა და „სამოქალაქო დემოკრატიულ პარტიას“ წარმოადგენენ, რომლის თანადამფუძნებელიც თავის დროზე კლაუსი-უფროსი იყო.

**ბელა გველესიანი**

# ქართველი მიურატების ამბავი წიგნად

საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთობა საუკუნეებს ითვლის. ნდობამ და სიახლოვის მიზიდულობამ ჩაიყვანა პარიზში სამეგრელოს სამთავროს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა შვილებითურთ. მაშინ სალომე დადიანი ჩვიდმეტი წლისა იყო. ყაყაჩოსავით გაშლილი, კავკასიონის ქათქათა მწვერვალების თეთრი ფიფქი, საოცარ ბრწყინვალებას გამოსცემდა.

დადიანებმა მალე მიიქციეს

აშილ მიურატი

ფრანგი მაღალი საზოგადოების ყურადღება. სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელი პრინცი აშილ მიურატი მოიხიბლა პრინცესა სალომეს მშვენიერებით. დილის ვარდს ჰგავდა კოლხი ასული, სავსე მთვარესავით ანათებდა. მალე გაიბა მიჯნურობის ძაფები ქალ-ვაჟს შორის, რაც 1878 წელს დიდებული ქორწინებით დაგვირგვინდა .

პარიზის პრესა წერდა: „სალომე იყო გრაციოზული და წარმტაცი, როგორც დედამისი. ცხოვრობს სასტუმრო ლუვრში “

„ ვინ არის ეს სამეგრელოს თავადის უმშვენიერესი ასული, რომელიც ახალგაზრდა მიურატს გაჰყვა ცოლად? “

საფრანგეთში პოლიტიკური მდგომარეობა შეიცვალა. მიურატების ახალშექმნილი ოჯახი იძულებული გახდა, სამეგრელოში ჩამოსულიყო.

მიურატს არ დასჭირვებია ფერისცვალება და ფარისევლური თამაშები, ფრანგი პრინცი ჩვეული გულითადობით მიიღო ქართველმა საზოგადოებამ.

ისტორიული რომანი „ბებე“ ბორის დავითაიას მორიგი, გრძნობებით, ფაქტებითა და ნოსტალგიით გამთბარი რომანია ქართველ მიურატებზე.

პრინცესა ანტუანეტა კატერინა, იგივე ბებე, აშილისა და სალომეს უმცროსი ქალიშვილია, რომელიც სამეგრელოში დაიბადა და საქართველოს მოქალაქე გახდა.

კნეინა ბებეს ლაღი ბავშვობის წლები მიკროსამყაროა. ის თავად ჰყვება და აღწერს, თუ როგორ გრძნობს მშობლიური ცისა და მიწის მიზიდულობას. კოლხეთის სურნელოვანი ვრცელი, მობიბინე ველებისა და მუდამ გადათოვლილი კავკასიონის მწვერვალების სიამაყეს. პრინცესას მონაყოლია ლეგენდებითა და მითებით გამთბარი რეალობა. მეოცნებე ქალის ნატიფი ფიქრებით გადმოცემული ინტიმური სამყარო, მისი სულის ფარულ ლტოლვა, მისი ვნებების, მისი სევდისა და დამსხვრეულ ოცნებების კალეიდოსკოპი.

აშილ მიურატმა და მისმა ოჯახმა ახალი მიდგომები დაამკვიდრეს სოფლის მეურნეობაში, შრომის ანაზღაურებაში. გადეს ახალი ხიდი საფრანგეთსა და საქართველოს შორის. დაამკვიდრეს ევროპული კულტურის მოწინავე იდეები, ქართული პროდუქცია გაიტანა საზღვარგარეთ...

ხელებდაკაპიწებული ბებე მამის გვერდით შრომობს. ეხმარება ახალმოშენებული ოჯალეშის ზვრებში. მოწეული პროდუქცია მიურატებს საზღვარგარეთ გააქვთ. გადის წლები, კატერინა უკმაყოფილოა რომ პირადი ბედნიერება არ აქვს, მაგრამ საქართველოს თითოეული გოჯი მიწა მისთვის საფიცარი, ულევი განძი, აღმაფრენის აღმძვრელია. აცხადებს, რომ უფალმა დაანათლა სისხლით ფრანგსა და დაბადებით ქართველს, იყოს ორი მებრძოლი და გაუტეხელი სულის ხალხის შთამომავალი. იმავეს განიცდიან ბებეს ძმები, ნაპო და ლუსიენი. ისინი მიდიან პირადი ბედნიერების საძებნელად, მაგრამ ყოველ ჯერზე საქართველოში, დედულეთში ბრუნდებიან.

წითელმა ბარბაროსებმა ჩათვალეს, რომ მათ ყოფაში მდიდარი და გავლენიანი ადამიანების ადგილი არ არის. ბებე და ნაპო აიძულეს, საზღვარგარეთ გაქცეულიყვნენ , ხოლო ლუსიენი დააპატიმრეს.

საქართველოდან შორს მარტოობაში აღმოჩენილი ბებე ბარათებს ანდობს თავის ფიქრებს, რომლებიც გამთბარია უზომო მონატრებითა და გრძნობით: „აქ საქმე თითქმის არ მაქვს. ვიღვიძებ თქვენზე ფიქრით და ამავე ფიქრებით ვიძინებ. ბარათის გამოგზავნის იმედი რომ არ მქონდეს, დარდისაგან გული გამისკდებოდა.

ჩემო ძვირფასო. როგორ მენატრება სალხინო, ზუგდიდი და ყველანი თქვენ, მთლიანად საქართველო. ამიტომ მოგმართავ, გამარჯობა, სამშობლოვ, შენი მიწის შვილი ვარ. შენი სიდიადითა და მშვენიერებით გულ და სულგამთბარი. შენით აღვიქვი გარე სამყარო ვრცელი და მსოფლიოს მრავალფეროვნება.

იცოდე, სამშობლოვ, რომ გყავს შვილი უცხო მიწაზე, რომელსაც უზომოდ უყვარხარ. არ ვიცი, სიტყვებით როგორ გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება. დამელოდეთ, მე ჩამოვალ, აუცილებლად ჩამოვალ!.. და სულგამთბარი ამ საოცნებო სიტყვებს იქ ათასჯერ გავიმეორებ“.




საბჭოთა ნიაღვარმა საქართველოსთან დასაკავშირებელი ყოველი გზა დაუხშო მიურატებს. ამას საოცრად განიცდის პრინცესა ანტუანეტა კატერინა. ყოველ მომდევნო ბარათში ცდილობს, გამოხატოს თავისი ულევი სიყვარული იმ ადგილისადმი, სადაც დაიბადა.

„წარმოდგენა არ მინდა, რა საშინელი მდგომარეობა იქნება მიურატთა ნალოლიავებ მამულში. ვინმემ მოყოლა რომ დაიწყოს იქ არსებულ მდგომარეობაზე, ალბათ შევაწყვეტინებ, რადგან ცუდის მოსმენა ნამდვილად არ მინდა“.

საზოგადოების ყველაზე განათლებული ფენის წარმომადგენლები - დადიანები და მიურატები საბჭოთა სისტემისთვის საშიშ მტრებად მიიჩნიეს. აშილ მიურატის მიერ გაშენებული ვაზი აჩეხეს, ვენახის ტერიტორია საკუთარ ადგილობრივ აქტივისტებს დაურიგეს საკარმიდამო მიწის ნაკვეთებად.

სალომე დადიანის უფროსი ვაჟი ლუსიენი დავიდი ციხიდან გათავისუფლების შემდგომ საფრანგეთში დაბრუნდა, მაგრამ იქ ვერ იპოვა საკუთარი ადგილი, ცოლს ვერ შეურიგდა და მაროკოში დასახლდა. იქვე გარდაიცვალა 1933 წელს.

სალომეს მეორე ვაჟი, ნაპოლეონ ლუი აშილი, ნაპოს, რომ ეძახდნენ, ბოლშევიკებისგან გაქცეული, ნიცაში ცხოვრობდა. ოჯახი არ შეუქმნია. მუდმივად ნოსტალგიას განიცდიდა დედულეთის მიმართ. გარდაიცვალა ნიცაში 1943 წელს.

ანტუანეტა კატერინა, იგივე ბებე, მარტოხელა გარდაიცვალა. ისიც ნიცაში, 74 წლის ასაკში, მუდმივად საქართველოზე სიყვარულით მოფიქრალი და მასზე მოგონებებში ჩაძირული.

„ბებე “ ბორის დავითაიას ისტორიული ტრილოგიის მესამე წიგნია. მას წინ უძღვის ეგრისის სამეფოს ბრძოლების ეპოპეა „მზე ქარიშხალში“ (2018 წ.), ასევე, მოცულობით დიდი რომანი, სამეგრელოს არაორდინარული მთავრის, ლევან მეორე დადიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ორტომეული „უგვირგვინო მეფე“ (2021, 2022 წწ.).

მიმაჩნია, რომ მწერალი ბორის დავითაია ბევრ რამეზე ფიქრობს, ბევრ რამეს ხედავს და აფასებს. გასული ყოფის ბევრ ისეთ ნიუანსს აქცევს ყურადღებას, რაც ჩვენი განვლილი ცხოვრების რეალობა და სინამდვილეა. ირჩევს თხრობის სადა, რბილ და ყველასთვის გასაგებ ფორმას. ცდილობს, მკითხველს შეუქმნას გულითადობის თავისებური ინტონაცია, რაც ერთ, მთლიან და მშვენიერ განწყობას უქმნის მკითხველს.

ბებე ერთ-ერთ წერილში წერს: „იქნებ, მე არ ვიყო, მაგრამ ეს ფურცლები იცოცხლებს, არ მოკვდება, შეინახავს იმ დიდ სიყვარულს, რაც საქართველოს მიმართ გააჩნდათ მიურატებს - მე და ჩემს ძმებს.

მამის საფლავი ხომ იქ არის, ჭკადუაშში? ნიშანი ორი ერის ურთიერთობისა.

ნათქვამია, დიდი სიყვარული დიდ განსაცდელში იმალებაო. სიმართლე ყოფილა.“

რომანი „ბებე“ პირველი ვრცელი მხატვრული ნაწარმოებია ქართველ მიურატებზე, რომელიც მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის ფრანგი არისტოკრატიული გვარის მოღვაწეობასა და საქართველოში ცხოვრებაზე.

აშილ მიურატის ოჯახი

აზა გარუჩავა
ლიტერატორი

# კანონი ალკოჰოლ და ნარკოდამოკიდებულ პირებს გარიგებების დადებას უზღუდავს

ხშირად გვესმის, რომ წამალდამოკიდებულების გამო მესაკუთრემ გაასხვისა ქონება (არა აქვს მნიშვნელობა, მოძრავი ნივთია იგი თუ უძრავი) და ოჯახი ქუჩაში დატოვა. შესაძლოა, ალკოჰოლიკმა და ნარკომანმა მემკვიდრეობით ან სხვა გარიგებით მიიღოს ქონება და ამ გზით სრულუფლებიანი მესაკუთრე გახდეს. სამწუხაროდ, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მას უფლება აქვს, ოჯახის წევრების თანხმობის გარეშე გაასხვისოს ნივთი. რა უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი შემთხვევა თავიდან ავიცილოთ?

**სამოქალაქო კოდექსის 16 მუხლის** თანახმად, ქმედუნარიანობის შეზღუდვა დასაშვებია, თუ პირი არის ალკოჰოლიკი ან ნარკომანი და მისი ფსიქიკური მდგომარეობა ვერ უმჯობესდება და, ამასთან, არის ქონების მესაკუთრე, ოჯახის წევრს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მისი ქმედუნარიანობის შეზღუდვა. **„სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. წამალდამოკიდებული/ალკოჰოლიკი უფლებამოსილია, დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა“**. ამ კანონის დანაწესიდან გარკვევით გავიგეთ, რომ კანონი არსებობს და ახლა ჯერი ოჯახის წევრზეა.

ჩნდება ბუნებრივი შეკითხვა, გაუწევს თუ არა ამ სენით დაავადებული ოჯახის წევრს წინააღმდეგობას და იქნება თუ არა იგი თანახმა, რომ დაენიშნოს მზრუნველი? უნდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლო განცხადებას აუცილებლად მიიღებს წარმოებაში, თუ მას უტყუარ ინფორმაციებს და მტკიცებულებებს მივაწოდებთ. მაგალითად, აღნიშნული ავადმყოფობის გამო სასწრაფოს გამოძახების დოკუმენტებს, მედიკამენტების აფთიაქში შესყიდვის ქვითრებს და ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელ სამკურნალო დაწესებულებაშია ოფიციალურად რეგისტრირებული.

როგორც ექიმები განმარტავენ, ხშირად ამ სენით დაავადებულ ადამიანებს აქვთ ე. წ. ნათელი პერიოდები და ოჯახის წევრს შეუძლია, ძალიან მარტივად აუხსნას ავადმყოფს, თუ რატომ სჭირდება მას მზრუნველი-მხარდამჭერი, რათა ოჯახი არ აღმოჩნდეს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. ამავე კანონის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის დროს პირს არ ეზღუდება წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადება, მაგალითად, გადასახადების გადახდა და ა. შ.



დღეს სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ წამალდამოკიდებულთა და ალკოჰოლიკთა მდგომარეობა გაუმჯობესდეს. არსებობს სხვადასხვა პროგრამები, რომლებიც ამ სენით დაავადებულ ადამიანებს ეხმარება ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **მეტადონის და სუბოქსინის** პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების რიცხვი კი არ მცირდება, იზრდება. საშუალოდ, თითოეულ მკურნალ ექიმს, საკმაოდ დაბალი ხელფასის ფონზე, დღეში ორასამდე პაციენტის მომსახურება უწევს. დროა, ჯანდაცვის სამინისტრომ ამ პროგრამებში მომუშავე მედპერსონალზეც იზრუნოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეტადონის პროგრამაში დასაქმებულ ექიმთა სამსახური, როგორც ოფიციალურად ამბობენ, სიცოცხლისათვის საშიშად არის გამოცხადებული, რადგან მათ (მედიკოსებს) ყოველდღიურად განსაკუთრებული პაციენტების მომსახურება უწევთ.

იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში ასობით ტიპისა და სახეობის ნარკოტიკი „დათარეშობს“, დროა, საზოგადოება გამოფხიზლდეს და კანონით მაინც დაიცვას ნარკოდამოკიდებულთა და ალკოჰოლიკების არასწორი ქცევებისაგან საკუთარი ოჯახები, განსაკუთრებით გარიგებების დადების დროს. თუ ისინი უძრავ მოძრავი ქონების მესაკუთრეებად გვევლინებიან, დროულად მიმართონ სასამართლოს, შეუზღუდონ მათ ქმედუნარიანობა, რადგან ისინი თავიანთ ქცევაზე პასუხს ვერ აგებენ.

**ლევან ჭიღლაძე**

# იურიდიული რჩევები

## თქვენს კითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭიღლაძე

**– 2021 წლის ივნისის თვეში კერძო პირზე ერთი თვით გავასესხე თანხა, რომელსაც არ მიბრუნებს. ხელწერილი არ არის ნოტარიულად დამოწმებული. აქვს თუ არა მას კანონიერი ძალა და მაქვს თუ არა უფლება, მივმართო სასამართლოს?**

– თქვენ გაქვთ უფლება, მიმართოთ სასამართლოს ან გამარტივებული წესით აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვოთ თანხის დაკისრება. სესხის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა სამი წელი. თქვენ თანხა უნდა მოითხოვოთ აღნიშნული დროის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღარ გექნებათ უფლება, მიმართოთ სასამართლოს .

●

**– ნდობის საფუძველზე მოტყუებით გამაფორმებინეს სესხის ხელშეკრულება. მაქვს თუ არა უფლება, მისი გაუქმების მოტივით მივმართო სასამართლოს?**

– თუ ხელშეკრულება მოტყუებით დაგადებინეს, შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ მისი ბათილად ცნობა, გაუქმება. მთავარია, გქონდეთ უტყუარი მტკიცებულებები: წერილობითი, ესემეს-შეტყობინებები და ა. შ., რომლებიც დაადასტურებს, რომ მოტყუების გარეშე აღნიშნული ხელშეკრულება არ დაიდებოდა. ასევე გირჩევთ, ამ შემთხვევაში პარალელურად მიმართოთ პოლიციასაც, რომლის მიერ მოკვლეული მასალები დაგეხმარებათ სარჩელის დაკმაყოფილებაში.

●

**– მჭირდებოდა სესხის აღება. მივედი ბანკში, რომელმაც უარი მითხრა თანხის გაცემაზე. იძულებული ვიყავი, მიმემართა კერძო იპოთეკარისათვის. ნოტარიუსში ჩემს ბინაზე გამიფორმეს ყიდვა-გამოსყიდვის ხელშეკრულება. ამასთან, ყოველთვე ვიხდიდი პროცენტებს. გავიდა ხელშეკრულების ვადა. გამესესხებელი არ მიბრუნებს ბინას, არ მომყვება ნოტარიუსში ვალდებულების გასაუქმებლად. როგორ მოვიქცე?**

– ასეთ შემთხვევაში თქვენ გაქვთ უფლება, მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადგენა და ქონების უკან დაბრუნება. სასამართლოს შეგიძლიათ მიაწოდოთ თანხის პროცენტის გადახდის ქვითრები და ეს იქნება საფუძველი თქვენს შორის დადებული ხელშეკრულების გასაუქმებლად. აღნიშნული ხელშეკრულება ეწინააღმდეგება კანონს და უნდა გაუქმდეს.

●

**– ვმუშაობდი სამშენებლო კომპანიაში მშენებლის თანამდებობაზე. გამიფორმეს ხელშეკრულება, რომელიც დაარღვიეს და არ გადამიხადეს ხელშეკრულებით ნაკისრი რამდენიმე თვის თანხა. როგორ მოვიქცე?**

– შეგიძლიათ პირდაპირ მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება თანხის დაკისრების მოტივით და სასამართლო კომპანიას დააკისრებს თანხის გადახდას.

●

**– მაქვს მძიმე ეკონომიური პრობლემები. სადავო მაქვს მიწის ნაკვეთის საქმე. სასამართლოს ვერ მივმართავ, რადგან ბაჟის გადახდის საშუალება არ მაქვს. როგორ მოვიქცე?**

– ასეთ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ თანხის გადავადება სასამართლოს დასრულებამდე მძიმე ეკონომიური, ქონებრივი პრობლემების გამო. მთავარია, სასამართლოს წარუდგინოთ მტკიცებულებები, რომ ხართ უმუშევარი და რეესტრიდან ცნობა, რომ თქვენს სახელზე არ ირიცხება არანაირი საკუთრება. ასეთი პირობების არსებობისას სასამართლოს ავალდებულებს კანონი, გადაგივადოს სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

●

**– დავწერე ანდერძი შვილის სასარგებლოდ. მაქვს თუ არა მისი შეცვლის უფლება?**

– დიახ, თქვენ გაქვთ ამის უფლება, რადგან ანდერძი წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას და მისი გაუქმება იმავე ნოტარიუსთან ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ყოველგვარი თანხმობის გარეშე.

●

**– სასამართლომ დამაჯარიმა პროცესზე, რასაც არ ვეთანხმები. მაქვს თუ არა ზემდგომ ინსტანციაში ჯარიმის გასაჩივრების უფლება?**

დიახ, თქვენ გაქვთ ამის უფლება. როდესაც ჩაგბარდებათ განჩინება თანხის დაკისრების შესახებ, დაუყონებლივ გაასაჩივრეთ სააპელაციო სასამართლოში და დაასახელეთ ის არგუმენტი, რომლითაც სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმებით. გასაჩივრების წერილი უნდა შეიტანოთ იმავე მოსამართლესთან, რომელმაც დაგაჯარიმათ. იგი ვალდებულია, წერილი ზემდგომ ინსტანციას გადაუგზავნოს.

# იცოდით თუ არა, რომ...

### „წინწაწეული“ ევროპული საპირფარეშო

მხოლოდ დაუბანლობა არ აყროლებდა ევროპას. „წინწაწეული“ ევროპული სასახლის „ტუალეტი“ უმარტივესი იყო — ყველაფერი ისხმება ფანჯრიდან!

ევროპას „დაავიწყდა“ ჩარეცხვადი საპირფარეშოების არსებობა და კვლავ ღამის ქოთნებზე გადასხდნენ. მივიწყებული კანალიზაციის როლს ქუჩებში არსებული თხრილები ასრულებდა, სადაც „უშურველად“ მიედინებოდა აყროლებული მასა (საუკეთესო შემთხვევებში, ოთახი-საპირფარეშო არსებობდა, მაგრამ იქაც ღამის ქოთნის გამოყენებით და იქ მოსაქმებულიც ქუჩაში, ასევე თხრილში ან მდინარეში იღვრებოდა). ადამიანები იქ ისაქმებდნენ, სადაც მოუნდებოდათ.

ფრანგული სამეფო კარი პერიოდულად გადადიოდა ერთი სასახლიდან მეორეში მხოლოდ იმიტომ, რომ უკვე შეუძლებელი ხდებოდა დღეების განმავლობაში საწოლების ქვეშ შემდგარი აქოთებული ღამის ქოთნების სუნის სუნთქვა.

იგივე ხდებოდა ვერსალშიც. სენ სიმონის მემუარებიდან ცნობილია ბევრი რამ, მათ შორის ისიც, რომ სასახლის კარის ქალბატონები დგებოდნენ და ვითომც არაფერი, რომელიმე კუთხეში ისაქმებდნენ. ამ „საჭიროებისთვის“ სასახლის კედლები აღჭურვილი იყო მძიმე პორტიერებით, კორიდორებში კი კეთდებოდა ყრუ ნიშები, არადა, შუა საუკუნეების ევროპისთვის, კვებიდან გამომდინარე, დიარეა ხშირი მოვლენა იყო...

მას შემდეგ, რაც ლუდოვიკო IX-ს (XIII ს.) ფანჯრიდან ფეკალიები გადაასხეს, პარიზის მცხოვრებლებს ფანჯრიდან „რაღაცების“ ტყორცნის უფლება მხოლოდ სამჯერ შეეახილის „ფრთხილად!“ შემდეგ შეეძლოთ.

XVII საუკუნისთვის უკვე მოგონილი იყო ფართოფარფლებიანი შლაპა. ადვილი ასახსნელია მამაკაცის შარვალ-პანტალონების იმ წლების „მოდაც“, რომელიც ვერტიკალურად განლაგებული ლენტებისგან შედგებოდა.

დედოფალ მარია ანტუანეტას სასახლეში საგანგებო მსახურები ჰყავდა, რომელთა მოვალეობა მხოლოდ განავლის აღება იყო...

ევროპის შუა საუკუნეების ციხესიმაგრეებს არ ჰქონდათ კანალიზაცია, მაგრამ ჰქონდათ გალავანი და წყლით ამოვსებული თავდაცვითი თხრილი — ამ თხრილში ისხმებოდა ფეკალიები. საფრანგეთში გალავნების მიღმა სიბინძურის გორაკები იმხელაზე იწევდა, რომ კედლის დაშენება უწევდათ. არ დააშენეს და კედლის ზემოდან გადმოედინა პარიზში... გარდა ამისა, ფეკალიებზე მტერსაც შეეძლო კედლამდე აღწევა...

ქალაქის ქუჩები იმდენად იძირებოდა ჭუჭყსა და განავალში, რომ უამინდობისას შეუძლებელი იყო გავლა. ჩვენამდე მოღწეული ქრონიკების მიხედვით, ევროპის ბევრ ქალაქში გამოჩნდა ოჩოფეხები, რომელთა გარეშე ქუჩებში უსაფრთხოდ გადაადგილება შეუძლებელი იყო. მაშინდელი მოგზაურების ჩანაწერები გვამცნობს, რომ პარიზის სიმყრალე კილომეტრზეც კი იგრძნობოდა...



პარიზის ქუჩები

### როგორი იყო რეალურად რომანტიკულად დახატული რაინდი?

როგორც ევროპელი არქეოლოგების მონაცემები ამბობენ, შუა საუკუნეების ევროპის მოსახლეობა საკმაოდ ტანდაბალი იყო. „გულთამპყრობელი“ რაინდის სიმაღლე XIV-XV საუკუნეებში იშვიათად იყო 1,60-სმ-ზე მეტი. მას დაუბანელი, გაუპარსავი და ნაყვავილარი (ევროპას ყვავილმა გადაუარა) სახე ჰქონდა, ჭუჭყიან და აბურდულ თმებში მოფუთფუთე ტილები, ტანისამოსის ნაკეცებში ტილები და რწყილები დაფარული იყო მუზარადით. როგორც წესი, რაინდს პირიდან მყრალი სუნი ამოსდიოდა, რადგან, ჯერ ერთი — კბილებს არავინ იხეხდა, და მეორე, რაინდები მიირთმევდნენ ყველანაირ საკვებს და ზედ მჟავე ლუდსა და ნიორს აყოლებდნენ. გარდა ამისა, რიგითი ლაშქრობის დროსაც კი რაინდი დღეების განმავლობაში იყო აბჯარასხმული, რომელსაც, გულით რომ სდომოდა, სხვისი დახმარების გარეშე მაინც ვერ გაიძრობდა, თვით გახდის პროცედურა კი საათზე მეტ ხანსაც გრძელდებოდა. გასაგებია, რომ რაინდი საგანგებო ვითარებაში ბუნებრივ მოთხოვნილებას პირდაპირ მუზარადში იკმაყოფილებდა.

უკვირდათ, სალაჰ-ად-დინის ჯარისკაცები ასე მარტივად როგორ აგნებენ მათო? — სუნით...

აბანო სხვილოს ციხეში

### გაჭირვებისგან აღმოცენებული „მოდა“

XVII-XVIII საუკუნეებში სიფილისის მასშტაბებმა ახალი მოდა დაამკვიდრა. გეზერი წერდა, რომ თმა თავსა და სახეზე სიფილისის გამო გაუქრა, ამიტომ კავალრებმა, რათა ქალბატონებისთვის ეჩვენებინათ, რომ ამ მხრივ უსაფრთხოები იყვნენ, გრძელი თმა და წვერ-ულვაში გაიზარდეს. მათ, ვისაც რაღაც სხვა მიზეზის გამო ეს არ შეეძლო, პარიკები მოიგონეს, რაც საზოგადოებაში სიფილისით დაავადებულთა დიდი რაოდენობის გამო ევროპაში მოდად იქცა. უნდა ითქვას ისიც, რომ იყვნენ ისეთებიც, ვინც სწორედ ტილებისა და რწყილების გამო იპარსავდა თმას.

მწერებთან ბრძოლას პასიური ფორმა ჰქონდა, მაგალითად, საფხანი ჩხირებიც საკმარისი იყო. ან, ვთქვათ, ვერსალსა და ლუვრში სადილობისას ლუდოვიკო XIV-ს თან ახლდა პაჟი, რომელიც მეფის რწყილების დაჭერით იყო დაკავებული.

შეძლებულმა ქალბატონებმა „აღმოაჩინეს“, რომ აბრეშუმზე რწყილს ფეხი დაუცდებოდა ხოლმე და მოდად იქცა აბრეშუმის საცვლები.

საწოლებზე გადაფარებული ბალდახინები უტილიტარულ როლს ასრულებდნენ — ადამიანებს ჭერიდან ჩამოცვენილი მწერებისგან იცავდნენ;

ასევე, წითელი ხისგან დამზადებული ავეჯის პოპულარობა უკავშირდება მხოლოდ იმას, რომ მასზე მკაფიოდ არ აჩნდებოდა მიჭყლეტილი მწერების კვალი...

ერთმანეთზე ტილების პოვნა საკუთარი კეთილგანწყობის დემონისტრირებას ნიშნავდა, რასაც დასაბამიდან ასრულებენ მაიმუნები...

დაუჯერებელი ვერ იქნება, რადგან ცნობილია, რომ გურდენბურგში (შვედეთი) ჩვეულებრივი ტილი ქალაქის მერის არჩევნებში იღებდა მონაწილეობას – მერობის კანდიდატები სხდებოდნენ მაგიდის ირგვლივ, სპეციალურად არჩეული ადამიანი მაგიდის შუაგულში ჩააგდებდა ტილს. არჩეულ მერად ცხადდებოდა ის კანდიდატი, რომლის წვერსაც ტილი აირჩევდა...

დაუბანლობითა და მისგან გამოწვეული დაავადებების ისტორიით, ევროპას, ცხადია, ვერ შევედრებით ქართველები, ამ მხრივ რა „ჩამორჩენილები და უღმერთოებიც“ ვიყავით საუკუნეების განმავლობაში, ჯერჯერობით, ისეთებად ვრჩებით — ბოლო-ბოლო, აბანოების სიმრავლე გვარცხვენს.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი აბანოები და საკანალიზაციო სისტემების ნაშთები იქით იყოს, შორეული წარსულიდან დღემდე დახარისხებულიც კი გვაქვს აბანოები: თორღვას აბანო, მენჯის სამკურნალო აბაზანები, ნუნისის, უჯარმის, წყალტუბოს აბაზანები, ახტალის ტალახის აბაზანები და ა. შ... ბოლო-ბოლო, შუაგულ საქართველოს დედაქალაქში, ევროპა რომ ჭუჭყისა და განავლის სუნად ყარდა, გოგირდის აბანოები გვქონდა და გვაქვს...

თბილისის აბანოები მოხსენიებული აქვს X საუკუნის არაბ გეოგრაფსაც კი, რომელიც გაოცებული წერდა: „აქ წყალი უცეცხლოდ დუღს...“ აბანოს სახელი მისი მფლობელის ვინაობას ასახავდა ან რაიმე ნიშან-თვისებიდან იყო გამომდინარე: „ერეკლეს აბანო“, „მეითრის აბანო“, „ენალას აბანო“, „როსტომის აბანო“, „გრილი აბანო“, „ჭრელი აბანო“, „პატრუქის აბანო“ და ა. შ.

გასულ წელს, იმ იმედით, რომ ოც ადამიანს არ აგვიყვანდნენ მძევლად, დიდი რისკის ფასად ვიმოგზაურე რუსეთის მიერ ოკუპირებული სამაჩაბლოს ტერიტორიის გასწვრივ. XIV საუკუნეში აგებულ სხვილოს ციხეში, მთის წვერზე, გაოცებული დავრჩი აბანოების ნახვით... ტაფობზე, წყლის სიახლოვეს, კიდევ ჰო, მაგრამ მთის წვერზე აბანოები?

I საუკუნით დათარიღებული, არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ქვისა თუ მარმარილოთი მოპირკეთებულ აბანოებში (არმაზი, ბიჭვინთა, ოზურგეთი, კახეთი, ქვემო ჭალა, ახალციხე და ა. შ.) არც ბანაობა აუკრძალავს როდესმე ვინმეს და არც ინკვიზიციას გაუჩაღებია კოცონი...

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი ჰრესის ჰრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99